

140 / 2
1988

ISSN 0132 - 6007

ბავშვული
შეზღოვითე



საბავშვო

6
1988



მომზადებული წარმოდგენის ჩვენების დრო დადგა, ბავშვებს რალაცნაირად ხელ-ფეხი შეებორკათ, დაიმორცხვეს, შეშინდნენ, გაძნელდა მათი სცენაზე გამოყვანა. სამაგიეროდ, მერე, როცა მანანა მასწავლებლის წაქეზებით შეგულიანებულებმა მაინც გაბედეს და მაცურების წინაშე წარსდგნენ, ისეთი მოწონება დაიმსახურეს, რომ ფრთაშესხმულები შეუდგნენ მეორე წარმოდგენაზე მუშაობას. ეს იქნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე აგებული კომპოზიცია „ღმერთო, სამ-

ვანელი — არჩილ მასისაშვილი), სიმღერის (ხელმძღვანელი — ხათუნა ყიფიანი) წრეები. პიონერთა სახლის მუსიკოს-შემსრულებლებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა რაიონში ჩატარებული არაერთი ღონისძიება დაამშვენეს თავიანთი ხელოვნებით. კაცმა რომ თქვას, არც ტექნიკურ წრეს აკლია ბავშვები (ხელმძღვანელი — უჩა ქვათაძე), მიუხედავად იმისა, რომ იგი, შეიძლება ითქვას, სულ ახალფეხადგმულია. მართალია, ვერც ნორჩ ტექნიკოსთა კაბინეტია ჯერჯერობით სათანადოდ აღჭურვი-

ლელთა წრე (ხელმძღვანელი — ელენე სო ჩარვაზია). ნაყოფიერად მუშაობს პიონერული აქტივის სკოლა, რომლის ძირითადი მუშაობა ასეთ პრინციპზეა აგებული — თვეში ერთხელ ყოველი სკოლის პიონერული აქტივი პიონერთა სახლში იკრიბება, ხოლო კიდევ ერთხელ სახლის პედაგოგები და მეთოდისტები მიდიან სკოლაში. ამ შეკრება-მეცადინეობაზე იმართება საუბრები და დისკუსიები პიონერული ცხოვრების ავკარგზე, სიახლეებზე თითოეული პიონერული რაზმისა თუ რაზმეულის

18.7.81



● ამოღებულთა წრის (ხელმძღვანელი ხ. ყიფიანი) რეპერტუარს შეემატა „სიმღერა ლენინზე“

შობლო მიცოცხლე“. ლიტერატურულ თეატრს სამომავლოდაც საინტერესო მუშაობა აქვს დაგეგმილი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ცოდნას გაუმდიდრებს და მეტყველებას განუვითარებს ბავშვებს, სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულსაც ასწავლის და შემოქმედებით აზროვნებასაც მიაჩვევს. წრებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია მხატვრული შემოქმედების — ქართული ცეკვების (ხელმძღვანელი — დავით სხირტლაძე), ქართული ხალხური საკრავების (ხელმძღ-

ვანი და შეიძლება ვერც მათ ნახელავს მისცე კაცმა მაინცდამაინც მაღალი შეფასება, მაგრამ ის საერთო მონდომება და გატაცება, რომელმაც პირველი ძნელი ნაბიჯი გადაადგმევინა ნორჩ ტექნიკოსებსაც და მათ ხელმძღვანელებსაც, იმის საწინდარია, რომ მოკლე დროში ამბროლაურელი ნორჩები საწადელს მიაღწევენ. ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა რუსული ენის სწავლებას და სწორედ მისი ცოდნის სრულყოფას ემსახურება რუსული ენის შემსწავ-

ცხოვრება-საქმიანობაში, იმ ამოცანებსა და მოთხოვნებზე, რომლებიც გარდაქმნის კურსმა, პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებამ დააყენეს ქვეყნის პიონერიის





პიონერი

საქ. კკ მკ-ის გამომცემლობა

N

ივნისი

1988

აპრილი
1926
წლიდან

ს.ქ. სსრ კ. მარტოვი



● როგორც ნახოთ, უთუოდ მოგაწონებათ ნორა ბაქანიძის დიდიბერი კოხანის ნახელავი შანდალი

წინაშე. სწორედ ამ ამოცანათა გადაჭრის გზების ძიებაზე, თვითმმართველობის დანერგვაზე, მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე კეთდება მახვილი აქტივის თითოეული მეცადინეობაზე, რომლებსაც ლუიზა კობახიძე, გუგული ჯანელიძე და ნანა სოხაძე უძღვებიან. ამ მეცადინეობებზე მიღებული ცოდნა უნდა ეხ-

მარებოდეს ამბროლაურელ პიონერებს, ახალი შინაარსი შესძინონ თავიანთი რაზმისა თუ რაზმეულის ცხოვრებას, უფრო სისხლსავსე და მიზანდასახული გახადონ მათი ყოველდღიური საქმიანობა.

— მთელი ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანია აღვზარდოთ პოლიტიკურად და იდეურად მტკიცე, მაღალი ზნეობრივი თვისებების, შრომისმოყვარე, პატრიოტ-ინტერნაციონალისტი მოქალაქეები, ისეთი ადამიანები, რომლებიც გარდაქმნით გადახალისებული ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრები გახდებიან, — ამბობს პიონერთა სახლის დირექტორი. ამ შეგნებით მუშაობს ამჟამად ამბროლაურის პიონერთა სახლის მცირერიცხოვანი კოლექტივი, რომლის წევრთა კეთილსინდისიერი შრომა და საქმის ერთგულება იმის საწინდარია, რომ მათი გარჯა უთუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ხოლო ეს ნაყოფი აქაური გოგონებისა და ბიჭუნების დღევანდელ სწავლასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობასაც დაეტყობა და თითოეული მათგანის ხვალისდელ ცხოვრებაზეც უთუოდ მოახდენს ზეგავლენას.

თ. ცაგარაძის ფოტო



● ნორაი მოცეკვავეები (ხელმძღვანელი ლ. სხირბლაძე) ახალ ნორაის სწავლობენ. ეს ცეკვა ცენტროვანი „აპარულია“

სიტყვა სიმეა შედგენილია ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციასთან შექმნილი ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების საერთაშორისო კომიტეტის ფრანგული სახელწოდების პირველი ასოებისაგან. იგი 1958 წლის 15 თებერვალს შეიქმნა. მისი დამფუძნებლები იყვნენ არგენტინის, კვიპროსის, ფინეთის, საფრანგეთის, გდრ-ის, უნგრეთის, ინდონეზიის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ბავშვთა ორგანიზაციები. ამჟამად კომიტეტი აერთიანებს ბავშვთა და მოზარდთა 79 ორგანიზაციას მსოფლიოს 74 ქვეყნიდან. ოთხ წელიწადში ერთხელ სიმეას წევრი ორგანიზაციები იკრიბებიან თავიანთ გენერალურ ასამბლეაზე, რათა ერთად შეიმუშაონ მოქმედების გეგმა. ბოლო, VII ასამბლეა ჩატარდა ბუდაპეშტში 1986 წლის ნოემბერში. მან აირჩია სიმეას პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ ანგოლის, უნგრეთის, ვიეტნამის, კვიპროსის, კოლუმბიის, კონგოს, კუბის, მონღოლეთის, ნიკარაგუას, პოლონეთის, სირიის, სსრკ-ის, სუდანის, ფინეთის, საფრანგეთის პიონერული ორგანიზაციები. სიმეას პრეზიდენტი ორგანიზაცია არის კონგოს სახალხო რესპუბლიკის ეროვნული პიონერული მოძრაობა, ვიცე-პრეზიდენტები — ხოსე მარტის სახელობის პიონერული ორგანიზაცია (კუბა), ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია და „საფრანგეთის პიონერები“. გენერალური მდივანია უნგრელი პიონერების კავშირი. პრეზიდიუმის სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ. სიმეას სამდივნო მუდმივად მუშაობს. გენერალური მდივნის გარდა მასში შედიან ფინეთისა და მონღოლეთის პიონერული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სიმეას დაფუძნების 30 წლისთავთან დაკავშირებით მის გენერალურ მდივანს შანდორ მოლნარს შეხვდა ჟურნალ „ვოჟატი“ კორესპონდენტი და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას:

—ოცდაათი წელი ისეთი თარიღია, როდესაც უკვე შეიძლება გავეთვულის დაჯამება... დღეისათვის რა შეუძლია ჩაიწეროს თავის აქტივში სიმეამ?

—ამ დროის მანძილზე ჩვენმა კომიტეტმა შესამჩნევი ადგილი დაიკავა ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობაში. 70-იანი წლებიდან გააქტიურდა მისი მონაწილეობა უდიდეს ახალგაზრდულ ღონისძიებებში, თანდათან აეწყო დიალოგი და შემდეგ თანამშრომლობაც მთელ რიგ ბავშვთა ორგანიზაციებთან, რომლებსაც სხვადასხვაგვარი პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები აქვთ. ჩვენი ინიციატივების შედეგად მსოფლიოში გამუდმებით გაისმის ბავშვთა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ბოლო მოეღოს შეიარაღების გაძლიერებას, შემცირდეს და შემდგომში მთლიანად მოისპოს ატომური იარაღი. სიმეა სულ უფრო აძლიერებს ბრძოლას, რათა იხსნას ბავშვები შიმშილის, სიღატაკისა და გაუნათლებლობისაგან.

იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ბავშვთა მსოფლიო ფესტივალისა „დაე, მუდამ იყოს მზე!“, რომელიც 1977 წელს გაიმართა სსრ კავშირში; მსოფლიო კონფერენციისა „ყველა ბავშვისათვის, მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის“; მისივე ინიციატივით ჩატარდა ბავშვთა მსოფლიო წელიწადი, ბავშვთა ევროპის შეხვედრა (1979 წ.), საერთაშორისო კამპანია „ბავშვებს მშვიდობა უნდათ“ (მოსკოვი — ერევანი, 1986 წ.). ყველა ეს აქცია მნიშვნელოვანი ეტაპია სიმეას მოღვაწეობაში.

ვიეტნამის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის წლებში სიმეას მოწოდებით საზღვარგარეთელი თანატოლები ვიეტნამელ ბავშვებს უგზავნიდნენ ამანათებს მედიკამენტებით, სურსათით, სასკოლო ნივთებით; ჩატარდა კამპანია ბავშვთა საავადმყოფოსა და სკოლის ასაშენებელი სახსრების შესაგროვებლად. შემდეგ იყო ჩილეს, ნიკარაგუას, კვიპრო-

სის, ლიბანის, სამხრეთ აფრიკის ბავშვებთან სოლიდარობის აქციები...

სიმეას საერთაშორისო აღიარება იყო გასულ წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან მიღებული ტიტული „მშვიდობის ელჩი“.

კორესპონდენტის შეკითხვაზე — როგორია სიმეას ძირითადი ამოცანები

სიმეა-ვი ზედე



ნები სადღეისოდ — შანდორ მოლნარმა უპასუხა:

—ბუდაპეშტში ჩატარებულმა სიმეას VII ასამბლეამ კვლავ დაადასტურა, რომ სიმეასთვის მთავარია მოზარდი თაობის აღზრდა მშვიდობისა და ინტერნაციონალური თანხმობის სულისკვეთებით, ბრძოლა ბავშვთა უფლებების განხორციელებისათვის და თანამშრომლობა ყველასთან, ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ბავშვების ბედი.

მიმდინარე წლის 14-18 თებერვალს ვარშავაში მიმდინარეობდა სიმეას პრეზიდენტის საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელზეც შეფასდა 30 წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობა და გაიმართა ფართო

დისკუსია სიმეას სადღეისო მდგომარეობასა და მის პერსპექტივებზე.

ახლა, როდესაც განმტკიცდა შეიარაღების შეწყობის იმედი, სიმეა ისწრაფვის ყოველმხრივ, ყოველი საშუალებით, რაც კი ბავშვთა მოძრაობას ხელეწიფება, ხელი შეუწყოს ამ პროცესს. „ბავშვები ერთად აშენებენ მშვიდობას“ — ამ პროგრამის ჩარჩოებში ტარდება რეფერენდუმი მშვიდობის დასაცავად. მისი შედეგები ბავშვთა დელეგაციებთან ერთად გაეგზავნებათ იმ სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებსაც ატომური შეიარაღება აქვთ.

პროგრამით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან აქციებს განეკუთვნება ბავშვთა სახლის მშენებლობა ნიკარაგუაში, მატერიალური დახმარება ანგოლელი ოპლებისათვის, სასკოლო ნივთების გაგზავნა პატარა ნამბიელებისათვის, რომლებიც ლტოლვილთა ბანაკებში ცხოვრობენ.

პროგრამა ითვალისწინებს და იწონებს აგრეთვე ბავშვთა მცირე კოლექტივების ინიციატივასაც. ასე რომ, საქმე გამოუჩნდება თითოეულ პიონერულ რგოლს, რაზმსა თუ რაზმეულს.

საბჭოთა პიონერია სიმეას ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. იგი იმთავითვე ენერგიულად ჩაება მის საქმიანობაში. სიმეას მრავალი აქცია ჩატარდა საბჭოეთის პიონერული ორგანიზაციის ინიციატივით და თითოეულმა ამ აქციამ დიდად შეუწყო ხელი ბავშვთა საერთაშორისო პროგრესული მოძრაობის გაფართოებასა და განმტკიცებას. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინის სახ. საკავშირო პიონერული ორგანიზაცია სიმეაში შემავალი ყველა ორგანიზაციის გულწრფელი პატივისცემით სარგებლობს.

— არ შემიძლია არ ვახსენო თქვენი „არტეკი“ — თქვა საუბრის დასასრულს შანდორ მოლნარმა, — მილიონობით ბავშვისა და უფროსისათვის ის იქცა ბავშვების კეთილდღეობის სიმბოლოდ, რისთვისაც არსებობს და იღვწის სიმეა.

გახარებული მზე

შეჩარდი, ღაუპვირდი,
რა მარადია გულზე...
წარწერა საფლავის ქვაზე

რედაქციის
ინფორმაცია

მხატვარი
გივი ნონიაშვილი

I. გახარებული მზე

მე მინდა, ამ სიბერის კარიბჭედან
ნათლად დაგანახოთ, როგორი მზე
იყო ჩემს ბავშვობაში. თქვენც შე-
მეწიეთ, ყმაწვილებო!

მაშინ იყო მაისის დიდი გახარე-
ბული მზე მწვანედგანასალი ქვეყნიე-
რების თავზე, სიხარულით ავარვა-
რებული ჩვენი ქედის თავზე. მბრწყინ-
ნავი, მთრთოლი ნისლივით ასდიო-
დათ ყვავილოვან მდელოებს. მხო-
ლოდ ჭალისპირა ვეება კაკლები გა-
მოიყურებოდნენ მუქად, კიდევ უფ-
რო მუქად — მათი დიდი ჩრდილე-
ბი. მათ მალა ჩახჩახა მომღერალ
ნაპერწყვლებივით ირუდნენ მოლა-
ღურები და ჩიტბატონები.

ამოდ გვეძახდა ფერდობის თავზე
გადმომდგარი ბებია გაგრძელებუ-
ლი ხმით:

— რეზიკო! ვალიკო! ხალი-
კო!..

ჩვენ პასუხს არ ვაძლევდით.

ჩვენც გახარებულ მზეში ვიდე-
ქით წისქვილის არხის მღორის პი-
რას, ჩამწკრივებულნი. თან ვთვე-
ზაობდით, თან თვალვდახუჭულნი
ვნეტარებდით. თვალეები რომ დახუ-
ჭული გაქვს, უკეთესიც კია მღო-
რეში თევზაობისას. სულ ოდნავი
შეტოკება ანკესისა და მაშინვე ყრუ-
ანტელი გადმოვივა თითებიდან სხე-
ულში. მაისის გახარებული მზით
ნეტარება ხომ თითქმის არ შეიძლება
სხვანაირად.

რა თქმა უნდა, თვალვდახუჭულ-
დით, თანაც მალ-მალე.

გავახილე ერთხელაც და დავინა-
ხე: ჩვენს ზემოთ მსუბუქი ორთვა-
ლა ეტლი გამოდის წყალში, გამოვი-
და, გაჩერდა, და იქიდან მძიმედ ჩა-
შობტა მამაჩემი. მისი გაღიმებული
ამხანაგი მალა ღარჩა.

მამამ ხაკის ხალათზე შემოჭერი-
ლი ქამარი შემოიხსნა, ორად აკე-
ცა, თითქოს სიარული უჭირდა ჩექ-
მებით. ჩემი ძმა და ბიძაშვილები
დაფრთხნენ, ქვემოთ დაეშვნენ. მე
ანკესიც კი არ ამომიღია წყლიდან.
სულ კი ვუყურებდი მამას, მის გა-
ღიმებულ ამხანაგსაც. რაც უფრო
მიახლოვდებოდა მამა, მით უფრო
უპატარავდებოდა თვალეები. ბოლოს
მწვავე წერტილებად ექცა.

— რატომ არ აგონებთ, ბებია
რომ გეძახით?

მე ისევ წყლისკენ მქონდა გაწვ-
დილი ანკესი, ხედვით კი როგორღაც
ცუდად დაძაბულ ჩექმებს ვხედავ-
დი.

— არავისი არ გესმით არაფერი,
არა?!

გამოვარდა ქამრის მძიმე ბოლო
და შიშველი კანკის ზემოთ, მოსა-
ხარში მიკბინა გველივით.

თითქოსდა ერთად აცვივდნენ ძა-
ხილით მოლაღურები, ჩიტბატონები,
ტოროლები.

ახლა კი გავიქეცი, მაგრამ იქით
კი არა, ჩემი ძმა და ბიძაშვილები
რომ გაიქცნენ, მღორე გაეტოპე,
გავარდვიე და არხის იქითა ნაპირ-
ზე გავენთე სოფლისაკენ. მხოლოდ
ესლა დავინახე, როგორ მქონდა გა-
ნათებული პირი მამას ამხანაგს და

როგორ მიჰქონდა მამას ხალათის
კალთები უკან...

ანკესი მალა მქონდა აწეული
და ისე ვავრბოდი. წისქვილის გა-
მოსაჩენთან, ლობეს რომ მოვეფა-
რე, გავიზნიქე და ქამრის ნაკბენს
დავხედე. მთელი კანკი წითლად
მქონდა შეღებილი, ფრჩხილის სიგ-
რძეზე გახეთქილი კანი ფეთქავდა
და იქიდან მუქი და მუქი სისხლი
ამომდიოდა. არაფერი მქონდა, რით
უნდა შემეხვია! არც არავინ იყო
ახლოს. გზიდან გადავედი, მრავალ-
ძარღვები დავკრიფე და იმით გავიწ-
მინდე თუ უარესად გავითხუნე ფე-
ხი. ანკესი ავახვიე და მისი ტარის
ბჯენით და კოჭლობით წავედი. წის-
ქვილთან თამაზა შემხვდა, წვერიკ-
მაზაშვილი. გადაირია, ისე მოეწონა
ჩემი ჭრილობა, რა კოხტად ამოდის
სისხლიო, მაგრამ მაინც შემხვია.

როგორ ახლა! ააძრო თუთის ტოტს
გრძელი ლაფანი, დამადო იმანაც
მრავალძარღვები, ზემოდან კულ-
მუხოს დიდი რბილი ფოთოლი და

გადამიხვია იმ ლაფნით. ახლა უკვე
მართლა ვკოჭლობდი. თამაზას შე-
ვეცოდე და თავიანთ ნამყენ ბალზე
დამპატიყა. თვითონ ავიდა ბალზე,
სულ მსხვილებსა და კუნწულ-კუნ-
წულებს მიკრეფავდა და ძირს მიყ-
რიდა. მეც, ნამდვილი ავადმყო-



ფივით, შეწუხებული სახით ვჭამდი. თან ფეხს ძლივს მივადგამდი.

ბლიდან წამოსულებს გიგილო შეგვხვდა, შავი. იყო სხვა გიგილოც, წითელი. შავმა გიგილომ მამამისის სააგურეზე წაგვიყვანა. სააგურეც კარგი რამ იყო. ჯერ ხომ სულ ლამაზ-ლამაზად ეწყო გამოუწვავი აგურები, მერე — იდგა ერთი დიდი კასრი, დიდი ლატანი ჰქონდა გამოშვერილი. იმ ლატანზე დიდი გამხდარი ცხენი იყო გამობმული, თვალბზე, აქეთ-იქიდან, ტყავები ჰქონდა აფარებული, ცხენი წრეებს უვლიდა, კასრში რალაცნაირი ნიჩბები ბრუნავდა და სააგურე ტალახი იზილებოდა. გიგილოს მამასაც შევეცოდე კოჭილი. გინდა, ცხენზე შეგსვია? არც ჩემი პასუხისთვის დაუცდია, არც ცხენი შეუჩერებია, დამავლო ვეება ხელები და ეგრევე გადამსვა. მეც ვტრიალებდი ცხენთან ერთად და მეცინებოდა, მიყურებდა გიგილოს მამა და მასაც ელიმებოდა დიდი კბილებით. დაავლო ხელები და უკან მომისვა თამაზაც. ცხენი თითქოს სულ არაფერს გრძნობდა.

ამასობაში კი გიგილოს დედაც მოვიდა, ქმარს სადილი მოუტანა. ჩვენც დაგვსხეს, ჯამებში მაწონი დაგვისხეს, ხის კოვზები და პურის მოზრდილი ნატეხები მოგვცეს. მაწონიც და პურიც ძალიან გემრიელი იყო. გიგილოს დედამ ლაფანი შემხსნა და ძონძით გადამიხვია ფენი. სისხლი, რალა თქმა უნდა, აღარ მდიოდა, მალ-მალე კი მეჩაჩებოდა ის ძონძი.

სააგურედან საბანაოდ წავედით. შენ არ იბანაო, — ბიჭებმა, მე მაინც შევიხსენი ძონძი და ისე ვიბანავე. ჭრილობა გამეხსნა, ისევ სისხლი წამომივიდა, თამაზა გაიქცა, ახალი მრავალძარღვები მოიტანა და ისევ თვითონ შემიხვია.

არ მინდოდა, მაგრამ ნაშუადღევს მაინც მივედი შინ. ანკესი დავმალე, ჩუმად ავედი მალლა და ჩუმად წავეჭე ბებიას ტახტზე. ეტყობა მაშინვე ჩამძინებოდა. როცა გამოვერკვიე, ბებია ეუბნებოდა დედას, ნახე, ერთი ნახე, რა დღეში აქვს ფენიო. სახვევი ჩამწეოდა და ჭრილობიდან სისხლი წამომსვლოდა. დედაც

მიწყრებოდა, ბებიაც, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. არყიანი საფენი დამადეს. აქ კი გავაკრატუნე კბილები, ცრემლიც წამომივიდა, ორი, მაგრამ ის ცრემლები არც დედას დაუნახია, არც ბებიას.

ისევ ჩამეძინა, ახლა უკვე სუფთა. გრილ ლოგინში. რალაც ღრმად მეძინა. მაინც უცებ გამეღვიძა: საბანი ფეხთან გადახდილი მქონდა, იდგა მამაჩემი, ბებია კი უჯავრდებოდა, — გიყი ხარ, გადარეული, ყმაწვილის ეგრე გამეტება შეიძლებაო?!

აი, აქ იყო ყველაზე ძნელი ცრემლის შეკავება, მით უფრო, რომ მამა ხმას არ იღებდა, გაგულუღივით იდგა. დედამაც წყრომით დაიძახა რალაცა შორიდან. მამა წავიდა, დაჯდა, სკამი აჭრიჭინდა, ჭამა დაიწყო. მე ისევ თავს ვებრძოდი. არ ავტირებულობიყავი.

დილას, ჩემდა გასაოცრად, გვიან გამეღვიძა. ჩემი ძმა და ბიძაშვილები

ბი ამდგარიყვენენ, არ ჩანდნენ. კოჭი ლობით გავედი აივანზე. მამა ორთვალაში ცხენს აბამდა. ისევ შინ შებრუნება დავაპირე, მაგრამ მამამ დამიძახა. გავჩერდი, ფრთხილად გავიხედე მისკენ. მამას, მძიმე კაცს, რალაც მსუბუქად ელიმებოდა.

— როგორა ხარ? — მკითხა.

— კარგად.

— ფეხი როგორა გაქვს?

— კარგად.

— მაგრად იყავი, მაგრად! — და ორთვალაზეც ღიმილით ავიდა.

მეც მეღიმიებოდა.

ახლა მთავარი იყო, ძმა და ბიძაშვილები მომეძებნა. ეზოში ჩავედი. შევხედე კარგად ამომალღებულ მზეს. ის ხომ მთლად გახარებული მიყურებდა. (სეთ მზეში რას არ აიტანს კაცი, და მეც გამართულმა გავაბიჯე გზაზე.

თქვენც შეგიმჩნევიათ თქვენით გახარებული მზე, ყმაწვილებო?



2. გველი

ინისია, თიბათვეს რომ ეძახდნენ ძველად. მზე ჭაჩალს თავსა სწვავს. მაგრამ ჯერ ისევ დილაა და ჩრდილებში სასიამოვნოდ გრილა. იმ ჩრდილებში რომ შიშველი ფეხებით შეხვალ, აღარსად გინდა წასვლა, ცოტა ხნით გადაწოლას ხომ არაფერი აჯობებს, მაგრამ მე საქმეზე მივდივარ, პამიდგრებისთვის ჭიგო უნდა მოვჭრა. ჩაქურ მივდივარ ჭალის გზაზე. ჭალის გზასაც ჩრდილი აფენია ნახევრამდე, თანაც ლამია, ოდნავ ნოტიო, და ღონივრად ვადგამ ფეხებს.

გადამირბენენ და გადმომირბენენ ხვლიკები. ბუჩქებში უხმოდ დაძვრებიან ბულბულები. ისინი დღისით სულ ღუმან, ცნობისმოყვარე თვალებით კი შემოგხედავენ, გაგაცილებენ კიდევ. ქაცვის წვერებზე თავაწეულ ყარაულებივით სხედან დაჯობები. ძველებური ყუაშავი, გალეული და მაინც აღმასივით მჭრელი წალდი უკვე ხელში მიჭირავს. თითქოსდა იმას მივიმძლოლებ წინ.

გზიდან გადავდივარ. შარვლის ტოტებს ბოლომდე ვიკარწახებ. ვიწყებ დიდ ჭაობში შესვლას. ჩალაც ჩემზე მაღალია, დგნალები ხომ, შიგნით და შიგნით, ცაში არიან ასულნი. თან ისეთი ხშირია ყველაფერი, თითქოს ბრძოლაში იყო, ყოველნაირად უნდა იბრძოლო — თავით, წალდით, მხრებით, იდაყვებით. ფეხი მუხლამდე მიდის, დაბლა და დაბლა უფრო გრილია მიწა, ცივიც კი. ჯერ ცოტანი არიან კოლოები, მაგრამ, შეიძლება ამიტომ უფრო, კამიკაძეთა თავგანწირვით მესხმიან თავს. აწეწილ-დაწეწილია მათი ფრთები და ფეხები ჩემს მკლავებზე. წალდის ერთი ჩარტყმა და რბილად გადაწვება დგნალი. ისევ ერთი ჩარტყმა და მიდის მის გვერდით მეორე.

მოჭრილები შედარებით მკვირვ ადგილას გამაქვს. იქ ვაგროვებ. ისევ შევდივარ ღრმებში, ვჭრი. როცა ვიდროვებ, გასხებას ვიწყებ. ო, როგორ იცის თავისი საქმე წალდმა! აქ სულ ერთმანეთს ეხუტებიან წვრილი ტოტები. ერთმანეთზე ვაწყობ თითქმის გათეთრებულ ჭიგოებსაც. არ ვთვლი. თვლა რა საკადრისია! თვალთაც მშვენივრად ვატყობ, რამდენს წავიღებ. ერთხელაც შევდივარ ტევრში, მივარღვევ, ვჭრი. საკმარისია! მორჩა! და სწორედ მაშინ დავინახავ ყველაზე სწორად ასულს. მივტოპავ, იმასაც ვჭრი. გამომაქვს. გავსხებავ. ახლა რბილი

წნელებილა მაქვს მოსაძებნად. თაც ვპოულობ, ფრთხილად შევუკრავ თავსა და ბოლოს ჭიგოებს. დავაყენებ ფეხზე კონას, ავწევ, დავკრავ ძირს. გათანაბრდებიან წამოწვდილი წვერები. ახლა ერთიც — მოკლე ხელკეტი მხარზე ქვემოდან ამოსადებად. იმასაც ვჭრი, წალდს წელთან გავიჭობ ქამარში. შევიწმენდავ ოფლს შუბლზე, შევხედავ მოჩახჩახე მზეს, ჩავიხრები, ფრთხილად დავუშვებ კონას მხარზე, ავდგები, ქვემოდან ამოვუდებ ხელკეტს და თითქმის სირბილით დავადგები შინისკენ გზას. კონა მძიმეა, ცოტათი მღუნავს, ცოტათი მიძაგძაგებს ფეხებსაც.





29 ოქტომბერს ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს 70 წელი უსრულდება. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით და მთავრობის დახმარებით ახალი თაობის წარმომადგენლებს შეეძლოთ...

საკავშირო კომპარტიის ისტორიასთან განუყოფელად არის დაკავშირებული საქართველოს კომპარტიული ორგანიზაციის შექმნა და მთელი უმჯობესი საქმიანობა. კომპარტიის ახალგაზრდობის ყველა თაობა მანიდა და მანის იმ გვირგვინს მათთან, რომლის თავფუძვლი თანამედროვეობის გარეშე...

მოდით, გადავხედოთ ეს მათთან, გონების თვალის გადახედვით კანკალის კომპარტიის გვირგვინს გზას, გავიხსენოთ იმის სახეობა, ვინც კომუნისტების მხარდამხარ იბრძოდა კომუნისტების გამარჯვების თუ კომუნისტების დიქტატურის დამკვიდრებისათვის, თავდადებულად უროგოდა ახალგაზრდა სახელმწიფოს კლინკების საფუძვლის ჩაყრისა და განმარტებისათვის, ვაჟაფშაველას შემართებით იცავდა საზოგადოებს ფაშისმისაგან, ქალღმონის დაუროგავად იღვროდა ომით დაწვრილი მთების ალანგანად და ხალხის კეთილდღეობის განაწესობას...

ახალი საქართველოს კომპარტიის ისტორიის მუშაობის მასობრივად დაკვირვება.

ა ა ა იწყობდა კომკავშირი

მამ ასე, საქართველოს კომკავშირული მატრიანის თავფუძვლი, 1917-1921 წ.წ.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დე-

ფეხებზე კი თითქოს ჩექმები მცოდნეს, ისე მაქვს ამოვლებული ტალახში. ტალახი სწრაფად ხმება, კანჭებზე მიჭერს, ვითმენ, ველარ ვითმენ, კონას დაფაყლებ, ვიფშენეტ, ცოტათი მაინც ვისუფთავებ კანჭებს, ისევ ვიკიდებ კონას, ისევ მივიჩქარი, თითქმის მივრბივარ შინსაკენ.

რომ შემეკითხოთ, რატომ? მხრებს ავიჩივავ. ალბათ, იმიტომ, რომ თორმეტი წლისა ვარ. თორმეტი წლისებს ყველაფერი ეჩქარებათ, მით უმეტეს ბიჭებს, მით უმეტეს, თუ მძიმე კონა გაწევს, თან წყალი გწყურია, წყარო კი ახლოს არის, ფშის პირთა კბოდესთან.

და აჰა, ის კბოდეც. თავით დავუშვებ ჭიკოებს, მერე ვაწვენ კიდეც, იმათაც დაისვენონ. დასაჭერ ბარტყსავით ვადგავარ წყაროს, წყარო კი დიდია, დიდი ტაშტის ტოლა, ცოტაზე ჩრდილი ადგას, დანარჩენზე მზე. ლაპლაპებს, თრთის. ცივი ხომ!.. არ ვიცავ არავითარ წესს. ეგრევე ვემხობი, მთელ სახეს ჩავყოფ წყალში, მერე ვიწვები, ვსვამ. თვალელები ხედავენ ფსკერის სხვადასხვა სიდიდისა და ფერის ქვებს, კენჭებს. თითქოს ისინიც თრთიან, მართლა თრთიან, აშკარად ამოიწია ქვა-მაც, მერე მეორეც, კენჭები აქეთ-იქით გარბიან, მთლად აბუნტდებიან ქვები, აწიოკდებიან კენჭები და მათ შორის ამოიღუნება ვეებერთელა მცურავის ჭრელი, მოყავისფრო წელი. დაჰქნევს ის წელი, მე ქვამორტყმული ბაყაყივით ქვადგვარდები უკან, როდის გამოვიძრე წალი?! ორივე ხელით მაქვს ჩაბღუჯული, წყაროს ანკარა თახთანა ზედაპირზე კი ამოვა, თავს ამოიმალლებს ოქროს საყურეებიანი დიდებული — გველი, თითქოს ცეკვავს კიდეც, შემომყურებს მე, მე ქვებს დავწვდები, ავიმართები, ის უკვე აღარ ჩანს, რაც შეიძლება, დიდსა და დიდ ქვებს

ვადგაფუნებ წყაროში. წყალი აიშლურევა, ტალახით ხდება. მხოლოდ ერთხელ მომეჩვენება გველის ჭრელი, მბრწყინავი წელი. ისევ ვადგაფუნებ ქვებს. მერე ველოდები წყლის დაწმენდას, წყალი იწმინდება, მაგრამ მცურავი აღარსად ჩანს, ამოდ დავეძებ ბალახებში, ქვებში. ახლალა მახსენდება გამოფურთხვა, ვიფურთხები, ვიფურთხები, ავდივარ კბოდის ზემოთ, იქ ვირეცხავ წმინდა წყლით პირს, სახელოებით ვიწმინდავ ტუჩებს. ხელეზის შემოწყობით ვაყურადებ მუცელს, ვმშვიდდები, ვმშვიდდები. წალდს გავიჭობ წელში, მშვიდად ავიკიდებ კონას, ამოვუღებ კეტს და ასევე მშვიდად მივდივარ, ავდივარ შინ. იქ საბოლოოდ დავაგდებ კონას, გავიზნიქები, ავმალდები და ვარ ამალღებული, მალლიდან მაყურებელი...

ერთი ესლა მქონდა საფიქრალი, მეთქვა თუ არა ეს ამბავი სხვებისთვის, დამიჯერებდნენ თუ არა. ვერ მოვითმინე, გავედი ბიჭებში და ვთქვი. კი გადააფურთხეს აქეთ-იქით, მაგრამ თვალელები ისეთი ჰქონდათ, დამცინოდნენ აშკარად. ისევ დავიწყე უფრო მეტი გზებით, — ზედ ჩემ თვალეებთან, ზედ ჩემ ტუჩებთან, აესე... კიდევ უფრო დამცინავი თვალეები გაუხდათ ბიჭებს.

ემშაკებსაც დაუტაციათ-მეთქი ბიჭების დაბურძენული თავები! ამას ხომ სულ, სულ, სულ არ დამიჯერებდნენ, მაგრამ ჩემთვის მაინც ეს იყო მთავარი, რასაც ახლა ვიტყვი:

იმ დღიდან გავხდი ძალიან კეთილი, მშვიდი, ძლიერი. დილით რომ ავიზმორებოდი, უჩვეულო მოქნილობას, სიმკვრივესა და ძალას ვგრძნობდი კიდურებში, სხეულში.

გავიდოდი და სიამოვნებით დავუდგებოდი ასე აზნექილი გახარებულ მზეს... ყოვლისმხილველიც არის მზე.



მოკრავთული რევოლუციის გამარჯვებისთანავე მთელ რუსეთში და საქართველოშიც დაიწყო მოწინავე მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების შექმნა; სწორედ ისინი იყვნენ კომკავშირის წინამორბედნი.

1917 წლის 3 სექტემბერს თბილისში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. ამან დასაბამი მისცა საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის შექმნას. „სპარტაკთან“ დაკავშირებულია ბორის ძნელაძის, მისი თანამებრძოლების — გაიოზ დევდარიანის, იაშა იონიდის, ალექსანდრე ამირბეგოვის, სტეფანე ვარდანიანის და სხვათა სახელები.

მოგვიანებით, 1917 წლის 20 ნოემბერს, მუშათა რაიონში, ნაძალდევი ბორის ძნელაძემ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ხელმწიფობით მოიწვია რევოლუციური ახალგაზრდობის კრება, რომელზეც დაარსდა „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაცია. სწორედ იგი გახდა თბილისში არსებული სპარტაკელთა ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი.

1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში შედგა სრულიად რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში სპარტაკელთა უჯრედების შექმნასა

და ორგანიზაციულ განმტკიცებაში. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა და იდეურად იწრთობოდა კლასობრივ ბრძოლებში.

1919 წლის მარტის დამლევს ჩატარდა თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელმაც აირჩია ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით. ერთი თვის შემდეგ თბილისის კომიტეტი გადაიქცა ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციის — „სპარტაკის“ ამიერკავკასიის დროებით ცენტრალურ კომიტეტად და საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დაეწავლა. დროებით ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ბორის ძნელაძე ჩაუდგა. მოკლე დროში საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციულმა გაერთიანებამ კიდევ რამდენიმე ცვლილება განიცადა და საბოლოოდ მის ხელმძღვანელ ორგანოს ეწოდა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

1919 წლის სექტემბრის დამლევს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. მთელი მგზნებარებით, ძალ-ღონის დაუზოგავად ჩაებნენ აჯანყების მომზადე-

ბაში თბილისის კომკავშირის ორგანიზაციები. რომლებმაც დაიწყეს მანოდ ასრულებდნენ პარტიის სამხარეო კომიტეტის ყველა პასუხსავე დავალებას. აი, როგორ აფასებდა კომკავშირელთა საქმიანობას აჯანყების მზადების პერიოდში ბორის ძნელაძე: „ჩვენ მონაწილეობას ვღებულობდით შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში და ენერგიულად ვამზადებდით ნიადაგს გაბატონებული ხელისუფლების დასამხობად“.

1920 წლის იანვარში პარტიის თბილისის კომიტეტის მითითებით კომკავშირის თბილისის კომიტეტმა შექმნა „ტექნიკური კოლეგია“, რომელმაც არალეგალური ლიტერატურის გამოცემას მოკიდა ხელი. „ტექპოლი“, რომელსაც ბორის ძნელაძე ჩაუდგა სათავეში, ღამ-ღამობით მენშევიკების სტამბებში მათივე შრიფტითა და ქალაღლით ბეჭდავდა პროკლამაციებს, მოწოდებებს, ფურცლებს და სხვ.

1920 წელს რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე ახალგაზრდებს მიმართა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. ყრილობის დელეგატთა შორის იყო საქართველოს კომკავშირის წარგზავნილი ბორის ძნელაძე, რომელიც სიტყვითაც გამოვიდა. „მე მყოფნის გამბედაობა, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელით განვაცხადო, რომ უახლოეს მომავალში დღევანდელი უბადრუკი კონტრრევოლუციური საქართველო აღარ იქნება და მის ადგილას შეიქმნება წითელი მუშურ-გლეხური საბჭოთა საქართველო!“ ამას რომ ამბობდა, საქართველოს კომკავშირის წინამძღოლს ურყევად სწამდა, რომ მისი სიტყვები ახდებოდა. და, მართლაც, საქართველოს საყოველთაო-სახალხო აჯანყების ქარ-ცეცხლი მოედო. სახალხო მებრძოლთა რაზმებში თავდადებით იბრძოდნენ კომკავშირელები, პირველი სპარტაკელები, ისინი, ვინც საბჭოთა საქართველოზე ოცნებით ანთებულნი უერთდებოდნენ XI წითელი არმიის ნაწილებს, ვინც 1921 წლის 25 თებერვლის დადგომას აჩქარებდნენ...

Въ воскресенье, 3-го сентября, въ 10 часовъ утра, въ
зимнемъ помѣщеніи Авлабарскаго клуба (Кахет. пл. 1)
СОСТОИТСЯ

Учредительное собраніе

организации молодыхъ социалистовъ
интернационалистовъ.

„СПАРТАКЪ“.

Приглашается вся рабочая и интеллигентная молодежь, за-
интересованная въ созданіи подобной организации.

2—1 Инициативная группа.

მარკავანი



კარლო კოპარიძე

მხატვარი

თამარ შანიძე

მ ო თ ს რ ო ბ ა

შესავალი

ერთი თვის წინ იყო, საღამო ხანს – თეთრად აბრიალებული ალუჩის ქვეშ, საეზოვე სკამზე ვიჯექი და ივანე ჯავახიშვილის პაპაჩემისეულ გასაბჭოებამდე გამოცემულ „ქართული ერის ისტორიას“ ვკითხულობდი. ბიძაჩემმა ლევანმა, როგორც დედაჩემი იტყვის ხოლმე, დასახედად შემოგვიარა, გამომართვა წიგნი, ხელი გადაუსვა – მიეფერა და თქვა:

- კარგია, საქართველოს ისტორია რომ გყვარებია! გაბელიმა, ვითომც, ეგ რაღა საკითხავია-მეთქი.
- გული შეგვარდება, ხომ?
- რაღა თქმა უნდა!

– მეუჭვება. ჩვენს მთაში გაფანტული, დანგრეული ეკლესია-სალოცავები, ნასახლარები, 'გავერანებული' „ცინე-კლდე“ არ გინახავს და ამ წიგნის წაკითხვით აპირებ თავის მოწონებას... კიდევ არ მიგიღიათ მამაშენის წერილი?

- არ ჩანს ჯერჯერობით.
- რამდენი ხანია, იგვიანებს?
- თუა უკვე.
- დედაშენი სადღაა?
- თქვენსა წამოვიდა, საქმე მაქვსო.
- წავალ მაშინ, – ხმაურით გაიჯახუნა ეზოს კარი.

ჩვენი სახლიდან ორასიოდე ნაბიჯზე ცნოვრობს ბიძაჩემი, ჩაივლის შემოგვეხმაურება, აივლის – შემოგვე-

მაურება, სადმე არ იყოს წასული, ერთ დღეს არ დაგვტოვებს უნახავს.

მეორე დღეს სკოლაში რომ მივედი, ბიჭებს ვუთხარი, მოდი, კვირას ჩვენი სოფლის მთაში წავიდეთ, ეკლესია-სალოცავები, ნასოფლარები, „ცინე-კლდის“ ნანგრევები ვნახოთ და გაზაფხულის ტყესაც მოვაველოთ-მეთქი თვალი. ზოგმა – ვითომც სხვაფრივ ყელამდე არ ვიყო, ახლა მაგის გულის ხეთქვალა მაკლიაო; ზოგმა – ნანგრევი რაღა სანახავიაო; ზოგმა განძის მაძიებლობა დამაბრალა; ზოგმაც – წავიდეთ და წავიდეთო! ჩემი ბიძაშვილი, დათოც მოდიოდა. სულ შვიდმა მოვიყარეთ თავი. რაკი მთელი დღით ვაპირებდით წასვლას, დედაჩემმა ადრევე დაიჭირა თადარიგი: იმდენი საგზალი მომიშადა, შვიდი არა, მაგრამ ხუთნი ნამდვილად გავიდოდით იოლას. რომ გავიოცე, მითხრა, მთაში სიარულმა სხვანაირი შიმშილი იცის, თანაც მზგავრია, მენახირე, ტყისმცველი, სუფრა გაშალოთ, წაგაწყდეთ, არ მიიპატიეთო, უხერხულიაო. ადრე ვაპირებდით წასვლას და ადრევე უნდა დამეძინა, მაგრამ საინტერესო ფილმს უჩვენებდნენ ტელევიზიით და იმან შემიყლია. დედაჩემი თეთრეულს აუთოებდა აივანზე. რაღას უყურებ, აღარ გედროვება ძილიო და, მაშინ იყო, ჭიშკრის ზარის წკრიალი რომ გაისმა. ეზოში ჩასვლას ვაპირებდი, მაგრამ დედაჩემმა გადასძახა, ღიაა, შემოდიო – მასაც ალბათ მეზობელი ეგონა, აილო დაუთოებულ-დაკეცილი თეთრეული და დიდ ოთახში შეიტანა. ეზოში ვილაც კაცი შემოვიდა, აჩქარებული წამოვიდა კიბისკენ. კიბე რომ გააშუალა, გაჩერდა და თავი ასწია. მეცნო და არც მეცნო. ღიმილით მიყურებს, თან ნელა, თითქოს სვენებსვენებით ამოდის კიბეზე ჭალარა, გალეული, შუახნის კაცი. ამასობაში დედაჩემიც გამოვიდა აივანზე, დაინახა კიბეზე ამომსვლელი და იყვირა:

- გივი!
- მაშინ კი მივხვდი, ვისაც ვამსგავსებდი – ეს კაცი მამაჩემი იყო, შვიდი წლის უნახავი მამა!

1

დედამ კარაქიან პურს თაფლი წაუსვა, რძით გაპიპინებულ ფინჯანს კოვზი მოურია და წინ დამიდგა:

- რაღას უყურებ, არ გაგვიანდება სკოლაში?
- არა ვჭამ, – სატირლად ვემზადები, – მშიერი უნდა წავიდე!
- რა მოხდა?
- რატომ არ წამიყვანს მამა საბანაოდ, ჩემს გარდა ყველამ იცის ცურვა ჩვენს კლასში.

– არ მცალია სამაგიზოდ, – სარკეში იხედება მამა,



პალსტუხს იკეთებს, — იმდენი საქმე მაქვს, სულის მოთქმის დროს აღარ მიტოვებს.

— ძია ლევანსაც აქვს საქმე, მაგრამ შარშან ზაფხულს ყოველ კვირა დაჰყავდა დათო ალაზანზე, ბაყაყურიც ასწავლა და ოფოფურიც.

ძია ლევანი ხომ დედაჩემის ძმაა, დათო კიდევ მისი შვილია, ერთ კლასში ვსწავლობთ.

— კაცი ვეტყვიმია და მაინც იქითა აქვს გზა, — თქვა მამამ და საათზე დაიხედა. — ხუთი წუთი დაავიანა, ხუთი კიდევ დაავიანოს, დღესვე მოვხსნი, — მოფერზე თქვა.

— აბა, შენ იცი! — გაელიმა დედაჩემს, მერე წამოდგა და პერანგის ოდნავ ჩაკეცილი საყულო გაუსწორა. — დათოს რომ წაიყვანს, გავატან ამასაც, ცურვაც უნდა იცოდეს და ყვინთვაც, რას გაუგებ ცხოვრებას, როდის რომელს მოგთხოვს.

— გინება გამოგრჩა, — მოიღუშა მამა, — გინებასაც ასწავლის, შესაქონლე კაცია, ხუთზე ეცოდინება ეგეც.

მანქანა მოდიოდა ქვემოდან და მამამ იმას მიაყურა. მეც იქით გავიხედე: ჩვენი მალალი გალავნის თავზე ქანაობით მოირწოდა რადიოს პრიალა ანტენა.

მამაჩემი კიბეზე დაეშვა და ჭიშკართან რომ მივიდა, მოტრიალდა:

— დღეს გვიან დავბრუნდები, სოფელ სანიავოს აქტივის უნდა შევხვდე ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით.

მამა რაიკომის მეორე მდივანი იყო. სულ არაფერი გამეგებოდა მისი საქმიანობისა, მაგრამ ეს კი ვიცოდი: თანამდებობის კაცი ეთქმოდა და მოკრძალებით, თითქოს შიშით ელაპარაკებოდა შინაურიც და გარეულიც. მაშინ მესამე კლასს ვამთავრებდი, აპრილი იწურებოდა უკვე, ერთი თვეც გაივლიდა და მეოთხეში გადავიდოდი. წინა წლებიც მახსოვს, ოღონდ შედარებით ბუნდოვნად, ის აპრილი კი ასე მწარედ რატომაც დამამახსოვრდა, სწორედ ესა მაქვს მოსაყოლი. აპრილის იმ დღეებში რომ ვიხედები, წინა წლებზე დაშვებული ბურუსი აიკრიფება ხოლმე და მკაფიოდ ვხედავ, როგორი გაბრაზებულია ბიძაჩემი ლევანი... ისე ვდგავარ ჭიშკარში, თითქოს ველობები, არავის ვუშვებ უზოში, თან მეზობლის ლევანს ვეთამაშები — ხორცს ვიპარავ შინიდან და ვაჭმევ; რომ დამინახავს, ჩემკენ ამიტომ გამორბის. დედა მიყვირის, ხელი არ მოჰკიდო, ბაქტერიები აგყვებაო. არ ვიცი, რა ოხრობაა ბაქტერიები, ის კი ვიცი, ძალიან საშიში რაღაც უნდა იყოს, თორემ დედა გულხეთქებით არ ჩამოირბუნდა კიბეზე. დაინახავს ლეკვი და მაშინვე წკავწკავით გარბის, ერთხელ ცოცხით სცემა და ის ახსოვს. ამ დროს ჭიშკართან „ჟიგული“ ჩერდება, ძია ლევანი გადმოდის მანქანიდან და დედას ეუბნება:

— შინ არის?

— ერთი საათია, დაბრუნდა.

— ალბათ მოსვენებაში ბრძანდება.

— ტელევიზორს უყურებს.

მამაჩემზე ლაპარაკობენ.

ბიძაჩემი ისე არ მოვა ჩვენსა, რაიმე საჩუქარი არ მომიტანოს, თანაც ხელში ამიყვანს ხოლმე და სიციხნის მუუბნება:

— რა ბაყბაყდევივით იზრდები, კაცო, როგორ დამძიმებულხნარ გუშინდელს აქეთ!

ახლა კი, რისი საჩუქარი და ხელში აყვანა, არც შემჩნევივარ, კიბეს მიაწედა ერთბაშად. დედა გაჰყვა და მეც გავეყვი.

მამა საეარძელში იჯდა, ტელევიზორი ჩაერთო, მაგრამ გაზეთს ჩაპყრებდა. ნაბიჯის ხმაურზე თავი ასწია, გაგიმარჯოსო, თუმცა ბიძაჩემი არ მისალმებია.

— მომხედე, — უთხრა ბიძაჩემმა, — ბიჭო, უცხო ვარ, უცხო ხარ, რას ჩამაცივდი, რა გინდა ჩემგან!

— გეტყოდი, მაგრამ გაიგებ? — წამოდგა მამა და ტელევიზორი სხვა არხზე გადაართო.

— სოფელს მე ვუნდივარ, შენ კი!..

დედაჩემი პიანინოს სკამზე ჩამოჯდა, გულხელი დაიკრიფა და ხან ერთს მიაჩერდება, ხან მეორეს.

იმ დღეებში ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოხსნეს, ისაო, რაც ხელში მოგხვდება, ყველაფერს შინ ეზიდებო. ხალხი იცინოდა, ნეტა რომელი მეფუტკრე არ ილოკავს თითებსო. ჰოდა, სოფელმა ახალ თავმჯდომარედ სწორედ ბიძაჩემი მოინდომა. მაშინ მეგონა, მართლ იმას ირჩევდნენ თავმჯდომარედ, ვისაც მანქანა არ ჰქონდა, ამიტომ მიკვირდა ბიძაჩემის ამბავი — მთლად ახალი „ჟიგული“ იყიდა იმ ხანებში.

— ყველა თანახმაა და, მაინცდამაინც შენ რატომ ხარ წინააღმდეგი, გაოცებასა ვარ!

— მართლა გაინტერესებს? — გაელიმა მამას.

— შენ როგორ გგონია?

— მაგ თანამდებობაზე რომ აგირჩიონ, ჩემზე იტყვიან, ცოლისძმას ჩაუწყუო. ახლა მაინც მიხვდი?

— ვერა!

— რა ვერ გაიგე?

— მართალი ხარ, რა დიდი მისვედრა უნდა მაგ სისულელეს!.. სოფელი იმიტომ კი არ მოითხოვს ჩემს თავმჯდომარეობას, ახლა ამან თქვლიფოს ხალხის ქონებაო, იცის, პატიოსნანი რომ ვარ და იქნებ წელში ავიშალოთო.

— სხვათა შორის, ქვეყანაზე არავინ მოიძებნება ისეთი, საკუთარ თავს მაინც გამოუტყდეს, გარეწარი ვარო!

— ეგ შენა გგონია ვერე! — აივანზე გავიდა ბიძაჩემი და სწრაფად მოტრიალდა, ფანჯრიდან შემოიხედა ოთახში. — ვიცი, რატომაც ბრძანდები ჩემი წინააღმდეგი, სიძე-ბატონო, ძალიან კარგად ვიცი!

— ვისი გერიდება, მითხარი ბარემ, — აივანზე გავიდა მამაც.

— სხვა დროს გეტყვი! — კიბეს ჩახედა ბიძაჩემმა, — თუმცა შენი უთავბოლობა ავიყვირდება მაგაზე!

დედა ისევ ოთახში იყო, ხელეებში ჩაერგო თავი, ტიროდა — მხრები უთახთახებდა.

მას შემდეგ ცდილობდა ბიძაჩემი, ისეთ დროს მოსულიყო ჩვენსა, მამაჩემი არ დახვედროდა შინ. ამას ახლა ვხვდები, თორემ მაშინ ხად მქონდა ამდენი დაკვირვე-



ბის უნარი! მართალი ვითხრათ, ეს საუბარიც ნელ-ნელა აღვადგინე, მაშინ აღვადგინე, როცა მივხვდი, ბიძაჩემს მართლაც ალალი, პატიოსანი კაცი რომ იყო და სოფელსაც ამიტომ უყვარდა. მანამდე კი საკმაო დრო იყო გასასვლელი და ჩვენს ჭიშკართან ყოველ დილა-საღამოს ისევე ჩერდებოდა შავი „ვოლგა“. ზოგჯერ მამა ისეთ დროსაც ბრუნდებოდა შინ, შუა ძილში ვიყავი უკვე და არც მანქანის ხმაური მესმოდა, არც კიბისა. დილით უფრო იშვიათად გამასწრებდა ხოლმე, ისიც მაშინ, რთველი რომ იყო, ანდა ვინმე დიდ კაცზე ამბობდა, უნდა ჩამობრძანდესო. დიდი კაცი ის მეგონა, ვინც სხვაზე მაღალი ჩანდა, ხმა ჰქონდა დაბოხებული და უეჭველად, უეჭველად პალსტუხი ეკეთა, წინწკლებიანი, ბრჭყვიალა ქინძისთავიანი პალსტუხი. ასეთი ხალხი ხშირად მოდიოდა ჩვენსა. მოვიდოდნენ, მომეფერებოდნენ და მეტყვოდნენ, შენ ისეთი კარგი ბიჭი ჩანხარ, ლექსები გეცოდინებაო. მეც მიხაროდა ლექსების თქმაცა და შექებაც – ყოჩაღ, აბა, შენ იცი, როგორ ისწავლი და როგორ ასახელებ დედ-მამასაო. ნამდვილად უჩანს სამამულე რქაო, იცინოდა მამაჩემიც. დედაჩემი ამ დროს სამზარეულოში იყო და მეზობლის ქალები სადილ-ვახშმის თადარიგს რომ იჭერდნენ, იმათ ადგა თავზე, ურჩევდა, რა როგორ უნდა გაეკეთებინათ. მაშინ არ მიკვირდა, ასეთ სუფრაზე რომ არ ეძახდნენ ბიძაჩემს – დიდი კაცი არ არის და, იმიტომ-მეთქი. დაბალია ბიძაჩემი, ჩადგმული და არც პალსტუხის გაკეთება უყვარს.

ყველაზე უფრო მამაჩემის შოფერი, გია მიყვარდა. ხილი და საჩუქრები ისედაც არ მაკლდა, მაგრამ მისი მოტანილი სხვა იყო, სხვა ფერი და სხვა გემო ჰქონდა. გიასთანა მხიარული ბიჭი არავინ მეგულება დღესაც. უცნაური ამბების, ზღაპრების მოყოლა იცოდა. აი „თხა და გიგოს“ მისეული ვარიანტი: კუნძულზე ზის ეს ჩვენი გიგო და წიგნს კითხულობს. ერთი ვნახოთ, თავი აიღო წიგნიდან და რას ხედავს – აკი ფეხდგომელა არ სძინავს ბუკეკას?! წვლან თვალები ჰქონდა დაჭყეტილი და ლამაზად იცოხნებოდა, წვერიც ლამაზად უცანცარებდა, ახლა კიდევ სძინავს? რას ჰქვია, თხა არ იცოხნება და არც

წვერი უცანცარებსო! წამოდგა გიგო, კუნძზე ფრთხილად დადო გადაშლილი წიგნი, გაქანდა და თავი დაარტყა.

- ვის დაარტყა თავი?
- თხას, კაცო, ფეხდგომელა ჩაძინებულ თხას!
- მე ვიცინი, გია ილუშება:

- ნეტა გამაგებინა, რა გაცინებს, მაშ თხა არ უნდა იცოხნებოდეს? თუ ძილი უნდა, ღამე დაიძინოს, მე შენ გეტყვი, შუალამემდე ტელევიზორის ყურებას გადააწყვება! ერთხელ კიდევ „რწყილისა და ჭიანჭველის“ ამბავს მომიყვა:

- რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას, რა ჰქვია, მცხეთაში მიდიოდნენ, ჭროლა თუთა ეგულებოდათ იქა. იმ თუთაზე ძაღლი ება. რწყილმა უთხრა, მე ძაღლს ვუკებენ, ძმამო ჭიანჭველავ, შენ კიდევ ტკბილი, ჭროლა თუთა მიირთვიო. მიდიან და რას მიდიან, არეპარე მიაქვთ! ერთიც ვნახოთ, გზაზე გუბე დახვდათ. ისკუპა ჭიანჭველამ და გადაახტა გუბეს. ისკუპა რწყილმა და აკი გუბეში არ ჩავარდა?! მიშველე, ძმამო ჭიანჭველო. შენ მანდ იყავი, ძმამო რწყილო, წავალ, ღორს ვნახავ, ჯაგარსა ვთხოვ, დავგრეხ თოკსა ბაწარსა, ჩამოგაწვდი და ამოგიყვანო. მაგრამ, კაცო, იმ ახლომანლო მარტო თათრების სოფლები იყო და აკი არც ღორი ჰყავდათ! სად გავიხილა თათარი და ღორი!

- ი, რწყილი უფრო არ გადახტებოდა?!
- ფეხი ეღრძო და იმიტომ ჩავარდა.
- როდის იყო, ჭიანჭველა ხტებოდა?!

- მართალია, მაგრამ მაშინ გადახტა. ვითომ რა მოხდება, ერთხელ კიდევ ჭიანჭველა გადახტეს, სულ რწყილმა უნდა ისტუნოს?... ჰო, ვიდრე ფიქრობდა ჭიანჭველა, რა ვქნა, რა ვიღონოო, ამასობაში მთლად გალუმპული რწყილი ამოვიდა გუბიდან და გაუდგნენ გზას! მაგრამ ვიდრე მცხეთამდე მიაღწევდნენ, ჭროლა თუთა მოილია, პატრონმა, აქ რაღა ვააკეთოსო, ადგა და ბაღზე გადაახტა ძაღლი...

ჩემი სახლიდან სკოლამდე ნახევარი კილომეტრიც არ იქნება. მეორე კლასში რომ ვიყავი, გიას ყოველდღე მივყავდი სკოლაში, იქიდან კი ხანდახან წამომიყვანდა ხოლმე. ერთხელაც, გაზაფხულზე ვდგავარ ჩვენს ჭიშკართან და გიას ველოდები. გავიხედე, ბიძაჩემი ლევანი მოდის. რომ მომიახლოვდა, ღიმილი მოისხიპა, ჩაფიქრდა და მკითხა:

- ვის ელოდები?
- გია უნდა მოვიდეს და სკოლაში წამიყვანოს.
- ვინ გია?
- მამაჩემის შოფერი.
- ჰოო!.. ყოჩაღად იყავი.

წასვლა დააპირა და აკი მაშინვე გამოჩნდა გიაც, მანქანა ზედ ჩემს გვერდით გააჩერა, გადმოიხარა და კარი გამიღო. ჩაჯდომას რომ ვაპირებდი, ხელი წამავლო ბიძაჩემმა, მომატრიალა.

- აბა! - ოდნავ მიბიძგა ხელი, - წადი სკოლაში!
- მე მანქანით მივალ!
- წადი, თორემ აგახიე ყურები! - მერე გიას გაუბ-



რაზღა: - ამის შემდეგ მიგიყვანია სკოლაში, ან წამოგიყვანია, ოთხში ამოგიღებ, იცოდე.

- რაც ნაბრძანები მაქვს, იმას ვაკეთებ.
- შენ ისევ აქა ხარ?! - მიყვირა.

მაშინ კი ვიკადრე წასვლა. პატარა გზა გავიარე და უკან მივიხედე: მანქანის კარი ისევ ღია იყო, ბიძაჩემი კი უკვე დაღმართის ყელთან მიდიოდა. ის-ის იყო, მამაც გამოვიდა ეზოდან.

2

იმ საღამოს მზის ჩასვლისას მოვიდა ჩვენსა ბიძაჩემი. მანქანაში რომ არ ჩამსვა და ფეხით წავედი სკოლაში, უკვე ნათქვამი მქონდა დედაჩემთან და გაჯავრებული შეხვდა თავის ძმას - დაბაღ სკამზე იჯდა, კაბის კალთას ამაშინებდა და ვითომც იქით ეჭირა გულისყური. ალბათ მიუხვდა ბიძაჩემი:

- რაო, ვითომ, რაკი შენი შვილია, სკოლაში ფეხით სიარული არ ეკადრება?
- დედამ საკურავი მანქანა გააჩერა და ქვემოდან შეხვდა:



— რაც შენ არ გეხება, იმ საქმეში არც უნდა ჩაერიო.
 — რა არ მესება, თქვენი სიგლახე? — ტახტზე ჩამოჯდა.

— აბა, მანქანა რაღას მიკეთებს?
 — ვითომ არ იცი!
 — რომ ვიცო, იმიტომ გეუბნები, ჩვენს საქმეში ნუ ერევი-მეთქი.

— ამ შემთხვევაში შენი ღლაპი რაიკომის მდივნის შვილი კი არ არის, ჩემი დისწულია! ნეტა, რას აქირქილებთ სოფელს!

— ჩვენ ისეთ რამეს არ ვაკეთებთ, სხვისთვის უცხო-იყოს.

— მესმის, მაგრამ იმათზე რაღას იტყვი — სოფლის დანარჩენ ბავშვებზე?.. მამა გიცხონდა, შენც შავი „ვოლგით“ დაბრძანდებოდი სკოლაში! მეკვირიობის, უნახაობის სუნი უდის მაგას!

— რაც თავი მახსოვს, ჩემი ჭკუის დარიგების მეტი საქმე არ გაქვს, — საკერავი მანქანა აახმაურა დედაჩემმა.
 — შეიძლება, მაგრამ მთავარი არ დამიჯერე.

— რას გეტყვი, იცი! — წამოვარდა დედა, — ლამის ვიფიქრო, ჩემი ოჯახის სიკეთე გშურს-მეთქი!

— ღმერთმა დამიფაროს!

ბიძაჩემი გაუთავებლად ეწეოდა სივარეტს: ერთს რომ ჩააქრობდა, წუთიც არ გავიდოდა, მეორეს მოუკიდებდა ხოლმე. ახლაც ახალ სივარეტს მოუკიდა, კიბეს ჩააყოლა თვალი და ისე მითხრა, თითქოს ვალს იხდისო:

— როინ, შვილო, დილითვე ამოდი ჩვენსა, მე და დათო მივდივართ ტყეში, შენც წამოხვიდე, არ გაწყენს.

— ამდენი დრო არა აქვს, — უთხრა დედამ და კაბა დაიზომა, — ხატვასა და მუსიკას რაღა უყოს?.. — ღია გამომიგზავნე, საკაბე უნდა ვაჩუქო.

ღია ჩემი ძალოა, ბიძაჩემის მეუღლე.

— მადლობა მომიხსენებია წინასწარ, მაგრამ ვერ მოიცლის: სახლია, სამსახური, შვილები, ბაღჩა-ბოსტანი... ათასი საქმე აქვს. ისე კი, ის საგაზაფხულო კაბა არ დაგავიწყდეს, ინსტიტუტი რომ დაგამთავრებინა.

ბიძაჩემი წავიდა და მუსიკის მასწავლებელიც მოვიდა. კარგი ქალი იყო ნინო მასწავლებელი, ყოველთვის მიხაროდა მისი მოსვლა. მოვიდოდა, ხელს ჩამოართმევდა დედაჩემს, მოიკითხავდა, მერე, აბა დავიწყოთო და მეც პიანინოს ვეცემოდი ხოლმე. ყველაფერს ადვილად ვითვისებდი და თვითონაც ხალისიანად იყო. ქმარი აღარ ჰყავდა — ხუთი წლის წინ დაღუპოდა ავარიში — გულს უჩიოდა, არ სვამდა, მანქანის ტარებაც ფრთხილი, ზომიერი იყო, მაგრამ აქეთ დაეჯახა ვიღაც მთვრალიო. ორი შვილი ჰყავდა, ქალ-ვაჟი, მაზლი ეხმარებოდა, ასე რომ, არ უჭირდა და არც კერძო გაკვეთილები ჰქონდა, მამაჩემს კი ვეღარ გაუტეხა ხათრი. რისი ერთი საათი, ხშირად ორსაც მამეცადინებდა. ხატვა კი ისე მეჯავრებოდა, განსვენებაც მზარავს. ვეხვეწებოდი მამას, არ მიყვარს ხატვა, მომეშვიტო-მეთქი. მანამდე არ დამიჯერა, ვიდრე თვითონ საბა მასწავლებელმა არ უთხრა, ხატვის სწავლა სად გაგონილა, ბავშვს საამისო ნიჭი არ

აქვს, ღმერთი გიშველის, ნურც ამას ტანჯავ, ნურც მოეშვიტო ორივემ დავისვენეთ.

დარდი არ მახვენებდა მთელი დღე — მამაჩემის მანქანით აღარ უნდა მევლო სკოლაში. არადა, როგორ მიხაროდა, შავი „ვოლგით“ რომ შევეგრიადებოდი ხოლმე სკოლის ეზოში. ვიცოდი, ყველა მე მიყურებდა, ჩემს ბედს შენატროდა ყველა. ახლა კი... ბიძაჩემი ისეთი კაცია, რაკი დამემუქრა, სიტყვას აღარ წაილებდა უკან. დედასაც ვუჯერებდი, მამასაც, მაგრამ ბიძაჩემის მორიდება უფრო მქონდა.

მამაჩემი ზოგჯერ მთელი კვირით მიდიოდა სამსახურის საქმეზე და ჩემი აღდგომაც მაშინ დგებოდა. მე და დათო სკოლიდან რომ დავბრუნდებოდით, ჯერ გაკვეთილებს მოვამზადებდით, მერე რაიმე თამაშს მოვიფიქრებდით და იმდენს ვთამაშობდით, გული მელეოდა შიმშილით. როცა ჩემს სახლში ვიყავი, ასეთი მადა არ მქონია — ჭამე და ჭამეო, სულ ამას ჩამჩინებდა დედა. კარაქისა და თაფლის დანახვა აღარ შემიძლო, არც რძისა, აქ კი ცხარესაც მაჭმევდნენ, მეავესაც არც კატასა და ლეკვთან თამაშს მიშლიდნენ.

იმ დამეს ბიძაჩემმა რომ მიყვირა, სკოლაში მანქანით მისული აღარ გნახოო, მამაჩემი გვიან დაბრუნდა სამსახურიდან — უკვე ვიწეკი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა.

ვიდრე მამა სამსახურიდან არ დაბრუნდებოდა, როგორი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო დედა, არ დაიძინებდა, სულ გზისკენ ეჭირა თვალი. მაშინაც ძალიან დაღლილი იყო და გვერდით მომიწვა, ზღაპარს მიყვებოდა და თვითონ კი ჩაეძინა. მამას მოსვლა არ გაუგია. როგორ თუ გძინავსო, ისეთი უყვირა, დიდხანს აღარ დამძინებია შიშით. მამა აბაზანაში შევიდა, მალევე გამოვიდა, თან ხელეებს იმშრალეებს პირსახოცზე, თან დედას ეუბნება:

— ერთი ეს მიბრძანე, როდის მომეშვება შენი ძმა!
 — რა მოხდა?

— მაგას ვინ ჰკითხავს, სკოლაში რითი ივლის ჩემი შვილი!

— გასაგებად მითხარი, რას უჩივი, — ვითომ არ იცოდა დღევანდელი ამბავი!

— ბიჭს არ უთქვამს?

— რა უნდა ეთქვა?


— სკოლაში მანქანით მისვლა აუკრძალა! სამსახურის ნერვიულობას გაუძლო თუ ოჯახისას?

— რა მოხდა, ადამიანო, ვიღაც გადამთიელი ხომ არ არის, აქეთ მოხედვაც აუკრძალო?

— თუ ჭკუას არ მოუხმობს, არც ეგ ასცდება! გააფრთხილე, გამომწვევად ნუ იქცევა!..

— ხმადაბლა ილაპარაკე, ბავშვი არ გააღვიძო.

დედა დაწყებითი სკოლის მასწავლებელია. მამა რაიკომის მდივანად რომ აირჩიეს, თურმე მაშინ დაანებებინა თავი სამსახურს, ოჯახს მიხედო. მეც მაშინ დავბადებულვარ. ამას წინათ ეუბნებოდა დედა, დაუბრუნდები სკოლასო. გაუმეორა — შენ ის გირჩევნია ოჯახს მიხედო.



დიდი ბინა გვაქვს — მარტო მეორე სართულზე ექვსი ოთახია, ახლა დაბლითუბიც იკითხეთ? დედა ამბობდა, კეთილი მეზობლები არ მენმარებოდნენ, ამხელა სახლს მარტო მე რას მოვერეოდო. ბიცოლაც წამოეშველებოდა ხოლმე, ბებიაც და ეკაც.

ეს ბოლო ხანია, ფეხით დავდივარ სკოლაში. ავუყვები საუბნო გზას და ახლავ ვამჩნევ: რამდენი ხილი ყოფილა ამ გზაზე, რამდენ ხეხილს აქვს გზისკენ გადმოშვერილი ტოტები — მსხალი გინდა, ვაშლი, ალუჩა, ქლიავი... მერე თხილი? მერე კაკალი? ზაფხულზე ავლაც კარგი იქნება, შემოდგომითაც. ახლა კი გაზაფხულია და ისე ჰყვავის აქაურობა, ბლომად რომ გამოიღებს ნაყოფს, არ უნდა ლაპარაკი!

ბიძაჩემის სახლის შემდეგ კიდევ ორი სახლია და იქვეა სკოლაც.

3

რაც სწავლა დავიწყე, სულ პირველ მერხზე ვზივარ. მერხების სამი მწკრივია საკლასო ოთახში — შუა მწკრივზე ვამბობ, ჩემი მერხი მასწავლებლის მაგიდას ებჯინება. დედა მეტყვოდა ხოლმე, ჩემს დროს სიმაღლის მიხედვით გვსვამდნენ მერხებზე, ყველაზე დაბალი წინ, ყველაზე მაღალი — უკანო. დაბლებიც არიან ჯგუფში, მაგრამ მე პირველ მერხზე ვზივარ. ჩემი ბიძაშვილი, დათო, ჩემზე დაბალია და მარცხენა მწკრივის მეოთხე მერხზე ზის, ფანჯარასთან. მინდოდა ერთ მერხზე ვმსხდარიყავით, ასეც იყო, მაღლე კი გადასვეს. ჩემზე კარგად სწავლობს, მაგრამ მე უკეთესი ნიშნები მაქვს — ხუთოსანი ვარ. დათოს კალიგრაფია არ უვარგაო, ქართულ წერაში უწერია ოთხიანი და კიდევ სიმღერაში. ჩემ გვერდით რომ იჯდა, თუ დამავიწყდებოდა რამე, მკარნახობდა, როცა მათემატიკის საკონტროლო წერა გვქონდა, მაშინაც მენმარებოდა. ერთხელ მასწავლებელმა უყვირა, დახმარება უნდოდა, აგერ ვარ და დავენმარებო — მაშინ გადასვეს იმ მეოთხე მერხზე. დათო გადასვეს და დირექტორის ძმისწული, მანანა გადმოაბარგეს ჩემთან. ისიც ხუთოსანია. სულ ჩანთასა და მერხში ბუდარაობს, სულ რაღაცას მელაპარაკება.

მასწავლებელი თითქმის ყოველდღე მეკითხება გაკვეთილს, ნიშანს კი მარტო მაშინ მიწერს, თუ ძალიან კარგად ვიცი.

ერთხელ, დიდ შესვენებაზე, ჩემი ჯგუფელი ბიჭები ლახტსა თამაშობდნენ. მე ცაცხვის ჩრდილში ვიდექი და იქიდან ვუყურებდი. დათო რომ დაუგორდა და ქაშარი გაიტანა, ტაში დავცხე. მეოთხეკლასელი რეზო მოვიდა და მეკითხება:

- შენ რატომ არ თამაშობ?
- ტანსაცმელი დამესვრება.
- მარტო მაგისი გეშინია?
- ქაშართა მცემენ.
- იქნებ შენა სცემო, რა იცი! მგონი, ტანსაცმლის დასვრისა უფრო გეშინია.
- ჰო.

— ვინ გითხრა, ძალიან, ძალიან გაუფრთხილდი ტანსაცმელსაო?

— დედა.
— აუჰ, როგორ დამავიწყდა, დედას ბიჭი რომ ხარ!
— ტაში შემოჰკრა.

ვიცოდი, რასაც ნიშნავდა „დედას ბიჭი“ და წამოვენთე:

- ვის ეუბნები მაგას?
- ვისაც ეყურება!
- აი, თუ დედას ბიჭი ვარ!.. — შევაგინე, შევაგინე და გამეტებითაც გამილაწუნა ლოყაში:
- კიდევ შემაგინებ და კიდევ გამომტყუებ სილას.
- იმდენი არ მტკენია, რამდენიც მეწყინა — მაშინვე წამომცვივდა ცრემლი.

შესვლის ზარი რომ დაირეკა, ლახტის თამაშიც მიატოვეს ბიჭებმა, მე კი ცაცხვს ვიყავი მოფარებული და ვტიროდი, ამიტომ არ დაუუნახივარ არავის. გაკვეთილზე შესვლა არ მინდოდა, მაგრამ ვერც უჩანთოდ წავიდოდი შინ. დირექტორი, შალვა მასწავლებელი გამოვიდა ეზოში, დამინახა და ჩემკენ წამოვიდა:

- რას აკეთებ აქ?
- უფრო ამომიჯდა გული.
- ვინ გაწყენინა?
- მეოთხეკლასელმა რეზომ მცემა, რეზო ქვათაძემ.
- წამოდი, — ხელი მომიკიდა. — ვერ უყურებ მაგ თავხედს! — თავის კაბინეტში შემიყვანა და ვილაცას ტელეფონით დაელაპარაკა:
- რეზო ქვათაძე მომიტორიე აქ!

ბიბლიოთეკის გამგემ შემოიყვანა რეზო და მაშინვე წავიდა. მარტო სამნი ვიყავით კაბინეტში.

- რატომ გაარტყი? — უყვირა თავდაღუნულ რეზოს.
- შემაგინა, — ძლივს ამოილულულა.
- შეაგინე? — მკითხა დირექტორმა.
- თავი დავუქნიე.
- უმიზეზოდ არ შეაგინებდი.
- დედას ბიჭი ხარო.

— კარგი, ნულარ ტირი, — მომეფერა დირექტორი, მერე ისევ რეზოს უყვირა: — არ გითხრეს, პატარის დაჩავკრა არ შეიძლებაო?.. უნდა დაარიგო, შეასმინო და მერე აღარ შეგაგინებს!.. რა მოხდა, ბავშვია და ცუდი სიტყვა წამოსცდა, ამისათვის უნდა ვცემოთ?.. კიდევ თუ გაგირტყამს, მგლის ბილეთით გაგიშვებ სკოლიდან!.. ახლავე მოუხადე ბოდიში!

- ბოდიშს გიხდი, — ძლივს გასაგონად მითხრა რეზომ და უფრო ჩაქინდრა თავი.
- წაეთრიე, ახლა!..

მე და დათო ყოველთვის ერთად ვბრუნდებოდით სკოლიდან.

- ერთი დამენახა! — იქადნებოდა დათო. — ვერ დამიძახე, ბიჭო?
- შენთვისაც რომ გაერთყა?
- ჭიდაობა მაინც ვიცი, დავუდებდი სარმას და შევდგებოდი წიხლით!.. ხვალ სადღა გამექცევა!..

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში დათოანთ სახლთანაც მივე-
დით.

დათოს მურიას ლეკვები დაეყარა. გულხეთქებით გავ-
ქანდი ნამშრალისკენ. დათოც გამომყვა. კედელზე ცერად
აყუდებინათ ძველი, ვენახის სარები, ქვეშ თივა დაე-
გოთ და მურიასაც იქ დაეყარა ლეკვები — უკვე ახელი-
ლი ჰქონდათ თვალები. დამინახა მურიამ და ამომეტო-
ტა. თამამი ლეკვი რომ ავიყვანე ხელში, წკმუტუნით
ამილოკა ხელები. ლეკვი კიდევ ისე იქნევდა თავს, შე-
ვატყე, ძუძუს ეძებდა. შვიდი ლეკვი დაგდო.

- მე მეგონა, გადაუყრიდით, - ვუთხარი დათოს.
- რატომ უნდა გადაგვეყარა?!
- ამდენს გამოზრდის, რო?
- სულ ძლომაზე ვაჭმევთ მურიას და რატომ გაუჭირ-
დება გამოზრდა?! ამით რომ უყურებ, ყველას პატრონი
ჰყავს. მამაჩემმა თქვა, მინდოდა სვადი ლეკვი დამეტო-
ვებინა, მაგრამ იმდენი ხალხი მთხოვს, თუ არ ვიმარჯ-
ვე, მურიასაც არ დამიტოვებენო.
- ვიდრე მოვისურვილებდი, ეკა მოვიდა, ჩემი ბიძა-
შვილი, მსუბუქად წამოარტყა დათოს:
- გამოდი გარეთ!
- რას ჩამაცივდი, ჩემს მეტს ვერავის ხელავ დასაბ-
რიყვებულს?
- ან მურია დაასვენე, ან ლეკვები - დღეში ათჯერ

დახედვა შეიძლება? შენა გგონია, ეფერები, აწვალავ
შენც გამოდი! - მეც მიყვირა.

- ცოტა ხანსაც ვიქნები.
- თვეზე მეტია, აქეთ არ მოუხდავს დედაშენს, ახ-
ლა რომ მოვიდეს, ჩვენ დაგვერევა, ლეკვებს რატომ აყ-
ვანინებთ ხელში, უნდა დამიავადმყოფოთო!
- არ ვამოვსულიყავ, ჯოსს წამოავლებდა ხელს. მემ-
ვიდე კლასშია ეკა და დიდი ჰგონია თავი - სულ ჰკუას
მარიგებს, ცემითაც მემუქრება, მაგრამ ჯერ არ ვუცემი-
ვარ.
- საჩუხში შევედით. ეკამ ახალი, ქათქათა პირსახოცი
გამოიტანა და ონკანი მოუშვა:
- აბა, ძაღლის მწყემსებო, საპნით დაიბანეთ ხელები.
ბებიას მაგიდასთან მიედგა სკამი, მწვანილს არჩევ-
და. გახჭურაზე ქვაბი თუხთუხებდა - ნედლი ლობიოს
სურნელი მეცა და ნერწყვი ჩავყლაპე.
- ორჯერ რომ წავისვი საპონი ხელებზე, პირსახოცი
მაშინდა მომაწოდა ეკამ.
- შინ უნდა წავიდე, - ჩანთა ავიღე.
- უჭმელი მიდიხარ?! - მწვანილს რეცხავს ბებია.
- აქ რომ ვჭამო, არ დამიჯერებს დედა და შინ კი-
დევე ძალით მაჭმევს.

ბაბრძელავა შამიდაზ ნომარში



გამოთვლითი ტექნიკის საფუძე-
ლებს სწავლობენ.
ახლახან იაპონური კომპიუტერე-
ბინ — „იმაპების“ მთელი კლასი
მიუღიათ გალის 1-ელ სკოლაში.
წუთითაც არ წაღება მიცადიწიოზა
ბანაკის კომპიუტერულ ცენტრში

წინა
ხარაზიშვილი

კომპიუტერი დასწავლობს

ბიჭს ასფურცილიანი რვეული მუხ-
ლებზე დაუდვია და გაფაციცებით
„აკონსპექტებს“ გამომსვლელის სი-
ტყვას. ბიჭი მანუჩარ ახალაია — გა-
ლის 1-ლი საშუალო სკოლის მერვე
კლასის მოსწავლე, გამომსვლელი —

განათლების სამინისტროს მთავარი
გამოთვლითი ცენტრის დირექტორი.
პატივცემული გია გვარამია — ერთ-
ერთი ავტორი სახელმძღვანელოსი,
რომლითაც დღეს რესპუბლიკის ქარ-
თულ სკოლებში ინფორმატიკისა და

კლასი რაიონის სკოლების მოსწავ-
ლეთა ერთგვარი სასწავლო-სამუშაო
ბაზაც იქნება. ეს ცნობა მანუჩარმა
მომაწოდა. მისმა თანაკოლეგმა,
მეცხრეკლასელმა თემურ კვიციანი-
ლიამ კი ამიხსნა, თუ რა გულიანად

ასრულენ სკოლის ინფორმაციის მასწავლებლის — ნუნე ხინთაძის და ვა წულის დავლებებს. ბიჭებს გადწყვეტილი აქვთ, დრო უქნა არ დატარებინ, მაქსიმალურად გამოიყენონ ბავუარინის სასკოლო კომპიუტერულ ბანაკში ვაჭარბულად ყოველი საათი, რაც შეიძლება ბევრი გაეყენოს ლექსიონულ-გამომწვლი მანქანის შესწავლაში. იამაძის შემოხაზა, რომ სკოლაში დაბრუნებულბას თვინათი გამოცდილებით თანდასრულებს და უფროსულად ამხანაგებს ცუხარინს. ბანაკში ამ და მხრე შესწავრი პრობობებს, მის კომპიუტერულ ცენტრში ერთი და ორი კ. არა, ერთბაშე 24 პერსონალური მანქანა დასა.

მანუჩარი და თემერი „იმედის“ კონკრეტის მონაწილეები არიან. ეს კონკრეტის „უფროსკლასელებს“ — მეცხვრე-მეცხვრეკლასელებს შორის მიმდინარეობს, უნე იგი, იმათ შორის, ვინც ვერ კიდევ არ იცნობს, არა უმანქანო სწავლების კერის და არც გამოთვლი ტექნიკის, მისი შესწავლის ინტერესი კი დღეი აქვს და ამიტომაც ამ კონკრეტის უკონკრეტო მონაწილეობის კარგია, თუ ყოველი ხარ, ბავარამ ასეთ საქმეს რომ შეიძლება, სულ ცოტა, ფრიადვე მინე უნდა გესმოდეს ზუსტი შეცნობებები, ერთი სიტყვით, შემოქმედებობად მოხაროვნი ვინმეა საჭირო. „იმედის“ კონკრეტის მონაწილე ეს იყო — გოგობების კონკრეტობისა და ახარობების გამოცხადების უნარის გამოვლენა, მათი სწორი პროფესიული ორიენტაცია.

ამ კონკრეტის გამარჯვებულთა შორისაა ლენა ნაცშია მანუჩარ ახალაია — დღესაც ცოცხალი გონებით ბიჭი, რომელმაც რამდენიმე დღეში შეძლო თავისი შევსებობის კომპიუტერული ბანაკის ყოველკლასე მონაწილეთათვის. მის ცოტა უხელო „ბიოგრაფიას“ აქ ყველაზე მთავარებია: სამაობის წლისა შესწავლა წერა-კითხვა, ვერ კიდევ სკოლაში შესვლამდე, უფროსების დახმარებულად, წუთითხვის და თავინ-ბოლომდე ზე-

პირადაც დასწავლია... „ვეფხისტყაოსანში“ გაიხარებდა, რომ ვიღონებ, ისე ენაყვით ამ თითქმის უცხო ბავშვებს მანუჩარის პირადი მეთერი უკანა შეხედის ამავე ის, რომ იგი ვერ 12 წლის ბიჭია და უკვე შერევი კლასში სწავლობს... შესაშური „კომპიუტერული ნათლობა“ მიიღეს ბავუარინის ბანაკის სულ პატარა მონაწილეებმა — ხუმრობა ხომ არ არის ამ ტექნიკისათვის ურთიერთობის დაწყება პირდაპირ ბავუარინის კომპიუტერებით... პერსონალურ მანქანებთან სისტემატური მუშაობათვის კარგი სიწრობები შეშობნათ სასკოლო ბანაკის



ინფორმაციისათა კონკრეტის მონაწილეებსაც — მთავრ-მეთერთმეტეკლასე მოზარდებს, რომლებსაც, ძირითადად, მანქანათა კონტაქტის გარეშე უხელოდ ახალი საგნის — ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების შესწავლა, დატვირთვით ყუ ყველაზე მეტად მაინც ნორჩი პროგრამისტები და ტექნიკონები ამ კონკრეტის ყველა მონაწილეს, დავლებლისაგან, წინასწარ შედგენილი მანქანური პროგრამები ჰქონდა ნაწილობრივ ბანაკში, თითოეული პროგრამა შესრულებული იყო იმ ენაზე, რომელზეც მუშაობდნენ ამ თუ იმ სკოლაში და გამოთვლითი ცენტრის კომპიუტერები. ასე რომ, მანქანური ენათა

შორის თითქმის ყველაზე პოპულარულს — ბესიკის შესწავლა ყველა მთელსა და თანაც დაუყოვნებლივ, რომ კონკრეტის დღეს „იამაძის“ ბესიკზე „თარგმნილი“ თავიანთი პროგრამების შეწოდება და დეტალიზებული შესწავლობდა ასეთ ვითარებაში შესაშური „ბედში“ მზობრე კუთხის ფიზიკამთმეტეკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები აღმოჩნდნენ. მათ სკოლა-ინტერნატში ხომ ამ იპარული კომპიუტერის მთელი ულასი მუშაობს, ვაგვავლენ ნორჩ პროგრამისტთა უწყურების სამ მთავარ გამარჯვებულს, განათლების სამინისტროს



მთავარი გამოთვლითი ცენტრის დიდი პრობლემის — ყველა ყმარეობის სთონებში ფიციკალიზების მფლობელებს, თბილისს მისწავლეებს: დათა აკის (116-ე სკოლა), ვახტანგ ახალაძეს (53-ე სკოლა) და ვიტალი უზნაძეს (1-ლი სკოლა). ისინი საუფროსობი იყვნენ ბანაკში მომზადებული 165 მოზარდის შორის დათა განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრის აქტივისტია, მისი ნორჩ პროგრამისტთა წარს წევრი და თითქმის „თანაშრომელი“, როგორც ცენტრის სპეციალისტები უფროდნენ მას და მის რამდენიმე მეგობარს — სლავა თთფინაშვილს, ზურაბ ჩხაიძეს, გიორგი ვასილუასა და გიორგი ეი-

1875
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ



პირდაპირად
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ
სამხარბო
მის არ

ბერიტის. ამ სრულფლებიან „კოლეგებს“ ცენტრის თანამშრომლები მთელი სერიოზულობით ანდობენ საქმად სრული პრაქტიკული და გამოცეხებით ამოცანების გადწყვეტას.

ბევრით, ძალზე ბევრი რამით გომოცა საინტერესოცა და სასარგებლოც ყმარეობების მუშაობა ბავუარინის სასკოლო კომპიუტერულ ბანაკში. სასკოლო არადეგებს შთაბეჭდილებები უღლებს. ამ შთაბეჭდილებებისათვის იყ, ბერი რომ არ შეიძლება, ისეთ საზრდოს იღუოდა, ერთი მხრივ, ბანაკის შემოქმედებითი ყოველდღეობობა და, მე-

ტრეცეა სპეციალურად იქნათ. მიხელო მავნებს თბილის სასკოლო ამოცანის მოცულობისა, მისხსნა, თუ რამდენად მარგავა იგი შედეგებით როგორც მათთვის, რომლებიც უმსადგენდა და უკვე მთავარი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები იყნენ.

დ, როგორც გიორგი და მათგან ბერიტის თბილისელი „აგადლოზი“ მანქანა „განტვირთვის“ თავის ამოცანის მავნებს სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის 1-ლი სასკოლო სკოლაში ზურაბ კონგარია. ძალზე ბევრი საინტერესო მოზარდენე ვეოც და ბიჭი ვაგვიანთი ბავუარინის სასკოლო კომპიუტერულ ბანაკში, თბილისელები — ბექა მენსაბოშვილი, მშები ირაკლი და ზურაბ ჩხაიძეები, ასპირელო კახა ბერიტ, გიორგი ნიკოლზ ცვალიშვილი, მათშელები ზურაბ ზამბახიძე, ზურაბ მახარაძე, ასენ ჭიჭავჭიძე, აკაბ ზოსიძე, ცხინვალის რაიონის სოფელ ქუთოსის სკოლის მოსწავლეები დინა კასარაძე და ვახაჩე ჭეულუაძე, ფთოელი თემურ კავლია, ქიათურელი თენგიზ კუპრაშვილი, ლანჩხთელი ნანა თვლიანი, გურჯაანელები მიაი ზანაშვილი და ლეოა ბუზარაშვილი, სწორად ის ლეოა, რომელიც, ესაა და, ითხმეა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსვლები ცხოვრობით, ზურბობანი, ვაგვიანებულნი რტების ორგანიზაციის პრეზიდენტი მინათაშვილი.

ხომ ასეთი დატვირთული რეგიონი ცხოვრობდნენ, ბავუარინის ახლგადახლები კომპიუტერული „მწიროველის“ საჭირო დაბნობი წუთითა და მომავალი კონკრეტები, საუბრებში... შეხვედრები მწერალ რეგამ მიშეუბნებულს, საგვამირო და საქართველოს კომპიუტერის პრეზიდენტის ლეოეტი საგვამირო იოსებელია „პროფესორის“ ბილა ზვირილის ნაშეუბრებია: ყოველდღეობური, არაშედეგ საინტერესო შეხვედრები ამ სოციალ საბავუარი სკოლისტების ნორჩ რეგიონობობა, სცენარისტებთან, მსახიობობთან და

საქ. სსრ კ. მარტის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



მ ზ ი ა რ ხ ე ტ ი ა ნ ი

ხაჯკრო

ვზივარ, ვკითხულობ. შებინდდა.
 შუქს ვრთავ. ილიას სურათი
 ისევ დამნათის კედლიდან,
 ისევ გამატანს გულამდი.
 — დღეს ვის რა არგე,
 კეთილი
 რა ჰქმენ,
 რით გაისარჯო? —
 მკითხავს ქართვლისთვის
 ღმერთივით
 საფიცარი და საზეო.
 ერთს ვნატრობ, მეტის არაფრის
 ქვეყნად არა ვარ მთხოვნელი, —
 ამისდეს ფიქრი-ნანატრი,
 შორი და მიუწვდომელი —
 ვიყო მის კვალში მდგომელი,
 ერისკაცობა გავწიო,
 თქვან:
 დაელოცოს მშობელი,
 აი, ქართველი კაციო!

იქნებ ჰაპაჩემია

რა მზის შუქი დახვავდა!
 ხედავ, —
 როგორ აყვავდა
 ჯარისკაცის საფლავთან
 ნუში ტოტებდახრილი!
 ჯარისკაცო, მოგწყინდა?! —
 ია ამოფოფინდა,
 მერე ჩიტაც მოფრინდა
 სტვენითა და ძახილით!
 აქ ვინა წვეს დაღლილი,
 ვინ ჩაავო მახვილი,
 მტერთან ბრძოლით ნალეწი?!

ჭირიკუტანა

სულ პაპაჩემს — ნიკოს ვვავარ ნიკო-ბიჭი ჯირკუტანა, პაპასავით გული თანაც მეც საქმისთვის მიხურს, განა! არც მიშორებს, თან დაყვავარ, ვენახს სხლავს თუ	ბაღჩას ბარავს, რაც მას უყვარს, მეც ის მიყვარს, ვიმანსოვრებ ბევრ მის სიტყვას: — რაკი ცხოვრობ, გქვია კაცი, უნდა დასდო სოფელს ღვანლი, კარგ ვაუკაცებს	მიპყვე კვალში და არ დარჩე არვის ვალში. პირში სული გიდგავს ვიდრე, გქონდეს შენი ხალხის ხათრი, თუ გაჭირდა, მოკვდე კიდევ, დედასაქართველოსათვის!
--	--	--

ჩვენ გვიბოძა ცისკარი,
 მას კი გრძნობა ცინცხალი
 გაუყინა თვალებში?
 ვისი სისხლის წინწყალი
 გაშრა ასე ადრიან?!
 ამ გმირს, ნეტავ, რა ჰქვია,
 ყვავილებს რომ აყრიან,
 ბილილ-ბილილ გვირილით
 ქარს რომ დაუბარდნია?!
 დაჭრილსაც რომ სჭერიან
 ხმალი მტერზე ნალესი...
 იქნებ პაპაჩემია,
 იქნებ პაპაჩემია,
 როგორ გაახარებდათ,
 ალბათ, ჩვენი ალერსი!..

ეპი


— რატომ არ სწავლობთ გაკვეთილს,
 რას ელოდები, ეკა?
 — როგორ, დაღლილი მივუჯდე
 ტელევიზორის ეკრანს?!
 — თვალცრემლიანი სკოლიდან
 დღეს, ნეტავ, ვინ წამოვიდა?
 ვინ ჩაუყენა ტკივილი
 თავის დედიკოს გულში? —
 გაკვეთილების დასწავლა
 ვინც დაიზარა გუშინ,
 ვინც არ ისწავლა ქართული,
 ვინც არ ისწავლა რუსული,
 ვინც ტელევიზორს უცქერდა
 მთელი დღე თვალდაკუსული.
 — დაჯექ, დღეს მაინც ისწავლე
 გაკვეთილები სვალის...
 — სვალის?
 სვალ აღარ მკითხავენ,
 რაზე მოვიკლა თავი!

ოპერატორებთან. საქართველოს პი-
 ონერული ორგანიზაციის და, სა-
 ერთოდ, ყმაწვილების ცხოვრების
 არაერთი მხარის ეს თავისებური
 მემატინეები ამჯერადაც „სამუშაო
 ფორმაში“ იყენენ. თავიანთი საყვა-
 რელი მასწავლებლის გრიგოლ ჩი-
 ვოვიძის ხელმძღვანელობით ბანაკის
 ყოველდღიურობას იღებდნენ ნიკა
 აფრიდონიძე, ნათია ცისკარიშვილი,
 ირაკლი ძეგია, თამუნა და ანდრო
 კვერნაძეები, ვია შხვაცაბაია და მა-
 მუკა ხორიაშვილი...

ასე დამთავრდა ნორჩ მეცნიერთა
 საინტერესო შეხვედრა, თვალნათლი-
 ვი შედეგი იმ დიდი მუშაობისა, რო-
 მელსაც გამოთვლითი ცენტრები
 დღეს რესპუბლიკის სკოლებთან
 ატარებენ. აქვე ერთი ციფრიც: სა-
 ქართველოს 25 წამყვან გამოთვლით
 ცენტრს 40 სკოლა უკვე იყენებს
 მოსწავლეთა კომპიუტერული სწავ-
 ლებისთვის. მარტო განათლების სა-
 მინისტროს მთავარი გამოთვლითი
 ცენტრი შეფობს თბილისის ხუთ
 სკოლას, მეთოდურ დახმარებას უწ-
 ვეს რესპუბლიკის ქალაქებსა და
 რაიონებში უკვე არსებულ რამდე-
 ნიმე გამოთვლით ცენტრსა და 60
 სასკოლო კომპიუტერულ კლასს.

აი, უპირველეს ყოვლისა, საიდან
 შეიძლება გაკეთდეს დასკვნები. სა-
 იდან შეიძლება ვირწმუნოთ, რომ
 ლოზუნგი „ყველანი — მინისტრი-
 დან სკოლის მოსწავლემდე — კომპი-
 უტერულ მერხთან!“ დღეს მხოლოდ
 ლოზუნგად არ რჩება. რომ იგი კი-
 დეც მოქმედებს. მოდი, გზა დავუ-
 ლოცოთ სამტრედიელ ნინო ზურა-
 ბიანს, რომელიც, დღე-დღეზე, სა-
 შუალო სკოლის დამთავრების ატეს-
 ტატთან ერთად, პროგრამისტის მოწ-
 მობასაც მიიღებს. დავუჯეროთ ამ
 ყმაწვილების მომავალს, რომელსაც
 ისინი აუცილებლად კომპიუტერუ-
 ლი ტექნიკის სპეციალისტებად ქცე-
 ვის ოცნებასაც უკავშირებენ: და
 ვიფიქროთ, რომ ბაკურიანის ეს
 „კომპიუტერული შეხვედრები“ მათ-
 თვის მარტო მომავალი საქმიანობის
 განმსაზღვრელი კი არა, მათი შე-
 საძლებლობების სწორი წარმართ-
 ველიც იქნება.

ჩიქების მარში



ძმირვასო ბავშვებო!
 თბილისის უ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის XI კლასის წარჩინებული მოსწავლე მაია ცირლილაქე თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად წარმატებით ეუფლება კომპოზიციის საფუძვლებს.
 იგი წლების განმავლობაში აქტიურად და სისტემატურად მონაწილეობს არა მარტო სკოლის საჩვენებელ კონცერტებში, არამედ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ მოწოდებულ ყოველწლიურ „საბავშვო მუსიკის კვირეულის“ კონცერტებშიც, სადაც წარმატებით ასრულებს თავის თხზულებებს.
 მაია მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. ეს ნაწარმოებები სხვადასხვა უანრისაა. გთავაზობთ მის ერთერთ საფორტეპიანო პიესას „ჩიქების მარში“.

კომპოზიტორი
ალექსი ზენიძე



Vivo



აიცი

ნორკორეაპოლიტანოზაფთა პირველი .XV. 6

ჩემი

მასწავლებელი

ამბობენ, ადამიანი ადამიანის სიყვარულით ხდება ძლიერი. არ ვიცი, ასეა თუ არა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ შენი სულის დასაბამი ის მეორე ადამიანია, რომლისგანაც ლებულობ სულიერ საზრდოს. და ეს მით უფრო დამაჯერებელია. თუ ასეთი ადამიანი შენი მასწავლებელია. თანაც შენი მშობლიური ენის, მრავალჭირნახული შენი ხალხის ენის და მისი სიამაყის, ლიტერატურის მასწავლებელი.

სწორედ ასეთმა გრძნობამ, ჩემი მასწავლებლის სიყვარულმა დამაწერინა ეს წერილი.

მე უსახლდროდ მიყვარს მშობლიური ენა და ეს ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა. არასოდეს ნელდება ჩემში დაგუბებული დიდი სიყვარული, მასთან სიახლოვის დროს რომ ვგრძნობ. ეს სიტბო სულ პატარასაც, უმცროსკლასეც გოგონასაც მათბობდა, ახლაც მათბობს და დარწმუნებული ვარ, მთელი სიცოცხლე გამყვება. მისი ნათელი სახე კი უჭრობი შუქით გამინათებს სავალგზას.

ჩემი მასწავლებლის სახელი ბოლოსთვის მოვიტოვე: ნარგიზა ლოგუა, გალის რაიონის აჩიგვარის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი.

დღეს მე სკოლას ვამთავრებ და მიწდა, მისი სიყვარული მუდამ მდევდეს თან. ამ სიყვარულის გარეშე გამიჭირდება სიძნელეების დაძლევა და ცხოვრებაში ადგილის პოვნა.

ამაში ისევ და ისევ სიყვარული უნდა მომეხმაროს. ჩემი კარგი მასწავლებლის სიყვარული.

მადონა ანთია,
გალი, აჩიგვარის მე-2
საშუალო სკოლა, XI კლასი.

ამაგულ საყვარელო

ოქროს სხივებმოელვარე
მობრძანდება განთიადი,
ჰე, მამულო, გაიფურჩქნე,
გაივსე და გადიადლი!
შენი მზერა დადგი ხნულში,
გააღვიძე ვაზის ფესვი,
ზამთრის სუსხით მიძინებულს
გაახსენე გლეხის ლექსი.
ყველა მადლი მადლად ჰქენი,
ლალ არწივად გაფრენილო,
აყვავდი და აიფურცლე,
ნატვრად ხნულში გარჩენილო...

ენიო ფაციოზვილი,
თელავი, კისისხევის საშუალო
სკოლა, X კლასი.

ასე ვცნობრობ...

ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი საინტერესოა. არც ერთი დღე მოსაწყენი არ არის. ძალიან მიყვარს მწვანეში ჩაფლული ჩემი სოფელი. ამისთანა სოფელი მეორე არაა. ჩემი მთაგორიანი სოფელი ზღაპრულ ქვეყანას ჰგავს. ჩვენთან არის გამოქ-

ნახატავი, რომელთაც ამ ვაჰვანებთ (მოწონებთ) ნახატავის ნაწილი მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება), ერთი სკოლის — ღუშეთის რაიონის პატარა არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნახატავია.

ერთი შეხედვითვე ჩანს, რომ ამ ნიჰიარ ბავშვებს კარგი მასწავლებელი ჰყავთ — ზეზუარტი კვლავი, თავისი სამხის მზვანიერი მცოდნე. ამიტომაც იგახსურება პატივცემული ბ. ჟურციკი თავისი მოწაფეების პატივისცემას, რაც ცხადად იგრძნობა ნორკ მხატვართა კოლაჰტიურ წერილში.

პატარულ მოსწავლეთა მავალითი მისაბამი უნდა იყოს ხველა ნორკი მხატვრისათვის. რეაქციონარი უნდა ბიბეზანოს ნაგვილად სრულყოფილი (მავირო ფარაბიტა და საზვით, სახატავი რვაულის ფორაბაზე შესრულებული) და მასწავლებლის მთავ მოწონებელი ნახატი და არა ნევისიერი ნაშუაგარი.

ვაბული. შავი დელი. ამბობენ, ზოგ ადგილას უძიროათ. მთის წვერზე კი აღმართულია ციხის ნანგრევები. აქ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ხალხში შემორჩენილია ერთი ლეგენდა: თურმე ძველად ჩვენი წინაპრები მტერზე გამარჯვებას შეიმობდნენ და ყველანი დამთვრალან. შემობრუნებულა მტერი, დაუბოცავს ჩვენები. ამიტომ ამ მთას ახლაც ვეძახით აფიანჩას, რაც აფხაზურად ნიშნავს „გაცამტვერებულს“. გეოლოგებმა აქ იპოვეს ძვირფასი სამკაულები. შარშან მიწისძვრა მოხდა და ნახევარი ხალხი ჩვენს მახლობელ სოფელ მერხეულში გადასახლდა, ნაწილი კი არ წავედით მამაპაპური სახლებიდან.

ჩვენი სკოლა რვაწლიანია. გვაქვს პატარა ბიბლიოთეკა, საიდანაც სისტემატურად გამოგვაქვს წიგნები და ვკითხულობთ. ჩვენს რაზმში 16 პიონერია. ყველანი კარგად ვსწავლობთ, ვცნობრებით ერთმანეთს. უფროსებს თამბაქოს ფოთლის ანემსვასა და სიმინდის ტეხაში ხელს ვუმართავთ. ვალამაზებთ სკოლას, ვმუშაობთ ბოსტანში. საინტერესო საკითხებს რაზმისა და რაზმეულის შეკრებაზე ვიხილავთ და ვწყვეტთ. ვთამაშობთ ბურთს და მერე დავდი-



მელია და მწყარაჩიტა.
ენიო გოპიოვილი, 12 წლის.




ვართ ღელეზე. ვსვირნობთ ველო-
სიპედით, ვკითხულობთ ზღაპრებს,
ვუყურებთ ტელევიზორს.
ერთი სიტყვით, მოსაწყენად სად
მცალია!

ვანერა ჯომილავა,
გულრიფში, მერხეულის 8-წლიანი
სკოლა, VIII კლასი.

ქარი

ბობოქრობდა, ხეებს ფოთლებს
ავლეჯდა, აქეთ-იქით ფანტავდა. ხან-
დახან ცხრებოდა, ისვენებდა. კვლავ
ძალას იკრებდა...
მერე ნელ-ნელა ჩაცხრა. მიწაზე
მხოლოდ მისგან მიმოფანტული
ფოთლები დარჩა...
ასეთია ქარი...



დღე იყო წყნარი. მშვიდი, ალერ-
სიანი ნიავი უბერავდა. მზე ეფერე-
ბოდა დედამიწას. ცა ცისფერი თვა-
ლებით იცქირებოდა.
ბელურა ტოტზე შემომჯდარიყო.
გახარებული რაღაცას უღურტულებ-
და.
იქვე შოშია ჩამოსკუბებულყო და
გაკვირვებული შესცქეროდა გოგონ-
ასს, რომელიც გაუგებარ ენაზე ტი-

ტინებდა. გოგონასაც ცასავით ცის-
ფერი თვალეები ჰქონდა.
რაღაც უჩრედებიანი დაეხაზა და
ასკინკილათი ხტოდა. შოშიამაც მი-
ბაძა. ცალი ფეხი ასწია, მაგრამ თა-
ვი ვერ შეიმაგრა და კინლამ გადმო-
ვარდა. მერე ბელურას გახედა. მას
თავი გვერდზე გადაეწია და ისე უც-
ქერდა გოგონას.
შებიღდა. გოგონა სახლში ავიდა.
ახლა ამ დახაზულში შოშია და ბე-
ლურა დახტუნავდნენ. ხანდახან ალ-
მაცერად გახედავდნენ ფანჯარაში
გადმომდგარ მოლიმარ გოგონას.

ჩრდილი

მზიანი დღე იყო. ჩემი ჩრდილი
არ მცილდებოდა. სადაც მივდიოდი,
უკან მომდევდა...
დაღამდა. დედამიწა უდიდესმა
ჩრდილმა დაფარა. მასთან შედარე-
ბით ჩემი ჩრდილი არაფერი იყო.

სოფიკო როინიშვილი,
თბილისი, მე-2 ექსპერიმენტული
სკოლა, VI კლასი.

სოკოზე

ამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ
კვირა დღეს გადავწყვიტე, ტყეში
წავსულიყავი სოკოზე. მოვემზადე
და წავედი. ნათელი საამო დილა

იყო. გზაში ვფიქრობდი, შობი-
სულიყავი თუ იქვე გადამეხვია, ახ-
ლოს. ზევით ასვლა ვამჯობინე. იქ
ბუნებაც უფრო ლამაზი იქნებოდა
და ჰაერიც — უფრო საამო. ერთ
მინდორზე შევჩერდი. ძალიან მო-
მეწონა მინდვრის შუაგულში მდგა-
რი აყვავებული ახალგაზრდა მსხლის
ხე, ზღაპრული დედოფალივით რომ
ამშვენებდა იქაურობას. მინდორს
სარშემო ბებერი ხეები შემოჯარ-
ვოდნენ და გეგონებოდათ, ყველა იმ
მსხლის მშვენიერებით ხარობსო.
მსხლის ძირას თავს იწონებდნენ ნა-
ირ-ნაირი ყვავილები და სასიამოვნო
სუნს აფრქვევდნენ მდელოს. ყვავილ-
თა სურნელებას მიეზიდა ფუტკარი
და ისინი მზიარულად დაბზუოდნენ
თავს... მე ჩემს საქმეს შევუდექი.
ქამა სოკოების რამდენიმე ჯგუფი
ავკრიფე და კალათაში ფრთხილად
ჩავალაგე. სულ მალე ერთი კალათა
გავავსე და მეორე კალათის გავსე-
ბა დავაპირე, მაგრამ საათზე დავიხე-
დე. ექვსი სრულდებოდა, დრო შე-
უმჩნევლად გაპარულიყო. მინდორ-
ზე მრავალი ასაკრეფი სოკო დავტო-
ვე, შინ წამოვედი. ფეხები კი უკან
მრჩებოდა...

ლალი მალრაძე,
მარტლისი, რკინიგზის მე-9 საშუალო
სკოლა, VI კლასი.



ქანი აზო.
დათო კობორაშვილი, 11 წ.



შვლის ნუკრის ნაამბობი.
ხათუნა ციხელაშვილი, 12 წ.



აიცი

ნორჩ კორასკონდენტთა ჟურნალი № 6

ფოტოლი

ჩემს წინ ხეს მოსწყდა
გამხმარი ფოთოლი
და მიწას გაეკრა მეისვე,
ჭრილობა უხურდა,
იწვა და ტიროდა,
ეწადა აფრენა ისევ.
...წავიდა ფოთოლი,
ეს ერთი ჩქამი
და ერთი სიმი ხისა.

ნინო ლაშხია,
ზუგდიდი, მე-2 საშუალო სკოლა,
VI კლასი, ნორჩ შემოქმედთა
წრე „ფიფქების“ წევრი



მე და აპრილი

დადგა აპრილი...
ნაზი აპრილი,
ხენი ხარობენ, –
როგორც იტყვიან.
და ვდგავარ ტყეში
მე თავდახრილი,
ხეთა ჩრდილები,
თავზე მივლიან.
მორჩა მზისა და
თოვლის დუელი,
ვუცქერ ახალი
დღის იდილიას.
მზეს გაუშლია
ოქროს დაღალი
და სხვიით ათბობს
მწვანე ლელიანს.
დადგა აპრილი,
ნაზი აპრილი
(უაპრილობა
ძალზე მომწყინდა)...
და მაინც ერთი,
კენტი ფოთოლი
ჩამოსავარდნად
თითქოს
მომწიფდა...
ხენი ხარობენ, –
როგორც იტყვიან.
და ვდგავარ ტყეში
მე თავდახრილი.

სახეზე
რალაც მელამუნება,
ტკბილად
ვსაუბრობთ
მე და აპრილი...

მე და შენ

ცრემლი ღიმილად
გადმოგეფინა,
და შენთან
ერთად
მეც მიხარია...
მე რა შეგმატე,
შენ რა შემმატე,
ეს კიდევ
დიდი
საფიქრალია.
შენს თავზე
ლალი მზის
ცისარტყელა,
დილამ ათასფრად
არივ-დარია.
თაიგულისგან
გვირგვინს
გიწნავენ,
გიხარია და
მეც მიხარია.
მე რა შეგმატე,
შენ რა
შემმატე,

ეს კიდევ
დიდი
საფიქრალია.

მალალი მთიდან

მალალი მთიდან
მოჩანდა სახლი,
გაკკროდა მიწას,
როგორც
ფოთოლი...
და ჩუმაღ
თელემდა
ბუნარში ცეცხლი,
გამთენიისას
ვით ხე
ობოლი...

ყოველ ახალ წელიწადს
თოვლი მუდამ სხვა არი.
(აგურ თითქმის გავლიე
მეთოთხმეტე ზამთარი).
კბილებს კვლავ ვინ
ილესავს?
– ყინვა? – ყინვა სად არი?!
ნახეთ, როგორ გავვისხლტა
ხელებს შუა ზამთარი!

მიხეილ ბაგიაშვილი,
თბილისი, მე-100 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



მზისგან ფერი გადასვლიათ ხის სოკოებს,
ძველებურად ფეხებს იქნევს საქანელა,
დამტვრეულა ხიჭვიანი სასრილო
და ქვიშაში კვლავ ფუფუსებს ჭიანჭველა.
ჩემი ბალი...

აქ დავეძებ ჩემს ბავშვობას...
ყველაფერი ძველებურად ლამაზია...
ატმის რტო რომ გაიცინებს, ის სიცილი
დამეკარგა, და აქ ვეძებ რახანია.

ნათელს ნუ ჩააქრობ,

ეგ ადვილია,
აბა, შესძელი და ბნელი გაანათე.

ყვავილებს ნუ გასთელავ,
ეგ ხომ ადვილია,
აბა, შესძელი და ბალი ააყვავე.

ყველაფერს ნუ იკადრებ,
იოლად ნუ იცხოვრებ,
შესძელ, შენი თავე წმინდად შეინახო,
და ოდესმე ქვეყნად ყვავილებად მოხვალ,
შენს ყვავილებს ხალხი ცამდე აიტაცებს.

ნათელს ნუ ჩააქრობ, ჩემო მეგობარო,

აბა, შესძელი და
ბნელი გაანათე,

ყვავილს ნუ გასთელავ, ეს ხომ ადვილია,
აბა, შესძელი და ბალი ააყვავე.

მანა ბარბარაშვილი,
თბილისი, 178-ე საშუალო
სკოლა, XI კლასი.

არ შეიძლება, პოეტი ცოტა

მხატვარიც არ იყოს,

არ შეიძლება, მხატვარი მუზის

მოსვლას არ ელოდეს...

არ შეიძლება, ამ ქვეყნად მშვიდად

ვიცხოვრო ულექსოდ,

და თუ მსმენელი არა მყავს,

გულში მაინც არ ვმღეროდე...

ახლა შენ სულ არა ფიქრობ ჩემზე...

არ გამტყუნებ: შენ ხომ არც კი იცი,

რომ ვარსებობ, ვცოცხლობ,

გიძლენი ლექსებს

და მოგეცი ერთგულების ფიცი.

ჩემს ვარშემო ბურუსია თეთრი,

სინანული მიაღერებს თმაზე.

სულ ვაპირებ, გამოვუტყდე-მეთქი...

და დღეები მიფრინავენ ასე...



ნ ა ტ შ რ მ ო რ ბ ი. ნარკიზა ნარიშანიძე, 18 წ.

წვიმა

აბა, შეხედეთ ამ ზეცას, თვალი მოავლეთ
ამ ჭალებს,
ირგვლივ სიცოცხლე ზეიმობს, თქვენ რატომ
სტირით, წვიმებო?
იქნებ შემინდოთ, კარგებო, ის უნებური
სიცულექე,
ბოლოს და ბოლოს, ჩემთანაც დამეგობრობა ინებოთ...
და, თუ ღმერთი გწამთ, გეთაყვა, უარი არ
გამავლოთ,
თქვენი სიცილი მართობს და თქვენი სურნელი
მაბრუნებს,
კუდმაკრატელას შეხედეთ, ზეცა დასერა
უდანოდ,
ან ყური უგდეთ... ნეტავი რა აკისკისებთ
ამ რუებს?..
ნაღველმა როგორ დაგიბყროთ, სევდას როგორღა
ნებდებით?
ჰოდა, გახსენით შუბლი და გააბეთ ბავ
ლალისა,
არ ამატიროთ ბავშვივით, არ გამიხუნოთ
ლექსები...
ნეტავი რამ დაგამუნჯათ, ან მიწისა თქვით,
ან ცისა!..

ინგა მელიტაშვილი,
წითელწყარო, ზემოქედის საშუალო
სკოლა, X კლასი.

12 საათს რამდენიმე წუთი აკლდა. ვოლფგანგი იდგა მამის სამუშაო ოთახის კართან და ხელში ორი რვეული ეჭირა. ზუსტად 12 საათზე თავის დაიკოსთან ერთად მამასთან უნდა შესულიყო წინა მეცადინეობაზე მიცემული დავალების საჩვენებლად.

ვოლფგანგმა კარის ჭუჭრუტანაში შეიკვრიტა და გაკრიალებულ მაგიდაზე მამის ხელებს მოჰკრა თვალი. მამამისმა ახალგაზრდობისას იტალიაში იმოგზაურა და გულმოდგინედ წერდა ხოლმე რვეულში მოგზაურობების შთაბეჭდილებებს. იმ დღეს კი რვეული დახურა და ჩვრით საგულდაგულად გაწმინდა კალამი.

ვოლფგანგმა მოუსვენრად მიმოიხედა. რა იქნა დაიკო კორნელია? ჰერ ვერ დაასრულა დავალება? აი, კორნელიამაც ჩამოირბინა კიბეზე, რვეული სასწრაფოდ კომოდზე დადო და ფეხის წვერებზე აიწია, რომ სარკეში ჩაეხედა: მან იცოდა, რომ მამა ოდნავ მოუწესრიგებლობაზეც კი გაიციხავდა, ამიტომ შუბლიდან თმის კულულები გადაიგდო, ვოლფგანგმა კი კაბაზე სირბილში გახსნილი ბაფთა შეუკრა.

ოთახში სკამის გადაღმის ხმა და მამის ნაბიჯები გაისმა. კარებში მამა გამოჩნდა. ტანად ღილი და წარმოსადეგი კაცი იყო, მაღალი, გამოწნეილი შუბლი და ხშირი წარბების ქვემოდან სერიოზულად მომზირალი თვალები ჰქონდა.

— მოსულხართ? შემოდით! — უთხრა მამამ შვილებს და ჰიბიდან ამოღებულ ოქროს საათს დახედა, სწორედ იმ წამს პირველ სართულზე საათმა წკრიალით ამცნო მათ შუადღის უამი.



გაკვეთილი მამასთან

(იოჰან ვოლფგანგ გოეთეს
ბავშვობიდან)

მამამ ისევ მაგიდასთან დაიკავა ადგილი და ბავშვებმა ნაწერი რვეულები წინ დაუწვეს.

ვოლფგანგს ლათინურ ენაზე დაეწერა თხზულება. მამამ მისი ნაწერის შემოწმება დაიწყო, ყოველ გვერდს ღილი დაკვირვებით კითხულობდა. ოთახში სრული სიწყნარე სუფევდა. მარტოოდენ ფურცლების გადაშლის ხმა ისმოდა. ვეებერთელა ოთახის კედლებთან წიგნებს მაღალი კარაღები იდგა. როდესაც ოთახში შუადღის მზე იღვრებოდა, წიგნების ფართო ყლებზე ოქროსფერი ასოები ბრწყინავდა. ამ წიგნებიდან ბავშვებისათვის რამდენიმე უკვე ცნობილი იყო. ვოლფგანგი ყველა მათგანს ღილი ხალისითა და სიამოვნებით კითხულობდა. წიგნი მისთვის ძვირფასი ნივთების ზარდახმა იყო, რომელიც ბევრ საინტერესო ისტორიას შეიცავდა. ალბათ ყველა ეს წიგნი ისეთივე სახალისოა, როგორც „ტილ

ოილენშპიგელი“ ანდა „შილდბრეტერბეი“ (ზღაპრები გულუბრველობებზე). მან მტკიცედ გადაწყვიტა, ბეჯითად მოქცეულიყო, ეგება მერე მამას ეს მშვენიერი წიგნები წასაკითხად მიეცა.

ბიჭს მამამ შეაწყვეტინა ფიქრი. — ბეჯითად და კეთილსინდისიერად გიმუშავნია, შვილო, უშეცდომოდ, კარგი ენით და, თანაც, ამჯერად უფრო სუფთად გაქვს დაწერილი თხზულება. — მამამ აღერსით შეავლო თვალი ვოლფგანგს. — ახლა ათი წლისა ხარ. თუ შემდგომისთვისაც ასე ბეჯითად ისწავლი, ოდესმე ლათინურის სახელგანთქმულ უნივერსიტეტში მოხვდები, სადაც მე ვსწავლობდი. — ამ სიტყვებით გადასცა მან რვეული პატარა ვაჟიშვილს.

— ბატონო მამა, — უთხრა ვოლფგანგმა, — ნებას დამრთავთ, კიდევ ერთი ნამუშევარი შემოგთავაზოთ? თხზულება ლათინურ ენაზე ერთ საათში დავწერე და რადგან კიდევ ბევრი დრო მქონდა, იგივე თხზულება ახლა უკვე იტალიურ ენაზე გადაწერე. აი, ინებეთ! — ვოლფგანგმა რვეული გადაშალა და მამას გაუწოდა. მღელვარებისაგან ლოცვები წითლად უღვიოდა.

— როგორ?! — ჰითხა გაოცებულმა მამამ. — მე ხომ ჰერ მხოლოდ შენს დას ვამეცადინებ იტალიურ ენაში. შენ რა, ჯადოქრებთან ხომ არ ყოფილხარ?

— არა, — მიუგო ვოლფგანგმა, — მაგრამ მეც ხომ იმ ოთახში ვიჭექი, სადაც კორნელიას ამეცადინებდით. ჰოდა, როცა ჩემს დავალებას ვასრულებდი ხოლმე, მეც გახმენდით და ვითვისებდით.

გერმანულიდან თარგმნა
შ. აშირანაშვილმა




აპატერიჩე (ატაშენა)
ზამზგია თბილისის
ა. ვირსალაძის სახე
ლოვის სალონის სახე
ვითი განყოფილების
პირველი კლასის მო-
სწავლეა.

ხატავს პასტელით,
ფანქრით, ჯეთის სა-
ღებავებით. თავისი
ნამუშევრებით თით-
ქმის მუღამ უამაყო-
ფილოა — უნდა უკეთ
ხატოს.

ის ნახატები ხომა კა-
რგია.

უკეთესი ეხატოს!



ჭაფხული, ექსკერიმენტი და ქმევის სთა მოვალეობა

პიონერული
პატივის
ქალაქი



დაიწყო ჭაფხული. პიონერთა ბანაკების ანტებზე უკვე წითელი აღმებია აღმართული. კვლავ ბევრი საზრუნავი აქვთ პიონერულ აქტივისტებს, რომლებიც, რომელ ბანაკშიც არ უნდა ისვენებდნენ, თავიანთი რაზმეულის სახეს წარმოაჩინენ.

საბანაკო ცხოვრება სკოლის რაზმეულში მიმდინარე პიონერული საქმიანობის გაგრძელება უნდა იყოს. ჭაფხულის ბოლოს კი ბანაკში გამოწრთობილ პიონერებს უამრავი კეთილი საქმის შესრულებისა და მისაბაძი ტრადიციების გაგრძელების სურვილი, მეგობრების მისამართებით სავსე უბის წიგნაკები ჩამოშყვებით ხოლმე სკოლაში.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი საბანაკო ცხოვრებაშიც თავისებურ გამოძახილს ჰპოვებს.

წლევანდელი ჭაფხული სიახლეებით ხასიათდება; ეწყობა ექსპერიმენტები პიონერთა ბანაკების რაზმეულების საქმიანობაში. ამ საკითხებზე თქვენთან სასაუბროდ მოვიწვიეთ საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლეთა და პიონერების განყოფილების გამგის მოადგილე, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი გულიკო ხორბალაძე და თბილისის 85-ე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ლია სამადაშვილი.

ბუღალტრი ხორბალაძე: ჭაფხულის პერიოდში ბავშვებს სხვადასხვა პირობებში უხდებოდათ დასვენება, როგორც წინა წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, ბევრგან საინტერესოდ ვერ არის აწყობილი საბანაკო ცხოვრება. ყველა პიონერს არა აქვს საკუთარი გატაცება, საყვარელი საქმე, უფრო მეტიც, ბევრმა ბანაკმა დაკარგა თავისი მიზანი, ვერ იქცა საჭაფხულო პიონერული მუშაობის ცენტრად, სანატორიუმს

დაემსგავსა, სადაც ბავშვები მხოლოდ პასიური დამსვენებლები არიან.

უფროსების მეურვეობამ ბანაკში ყმაწვილებს დაუკარგა საკუთარი ცხოვრების ბატონპატრონობის სურვილი, თამაში და რომანტიკა. ასეთი რამეც მომხდარა: ერთ-ერთ ბანაკში თურმე მოეწყო სპეციალური კონკურსი, თუ ვინ შეძლებდა ღამის გათევას ეზოში გამართულ ერთადერთ კარავში მათ, როდესაც ბანაკის კოლექტივი სამოგზაუროდ კარვებში ღამისთევით უნდა დადიოდეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მუშაობის ზოგიერთი ფორმა მოქვეყნდა, სიახლეზე კი ნაკლებად ვფიქრობთ.

პიონერთა ბანაკი სხვადასხვა ასაკის ბავშვებს აერთიანებს. ჭაფხულში იგი ბავშვებთან მუშაობის პოლიტიკური ცენტრი ხდება, ამიტომ აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პიონერული აქტივის მუშაობა რიგით პიონერებთან.

საბანაკო ცხოვრების მთავარი წარმმართველია პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებები და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის დებულება, რომელიც ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის დემოკრატიზაციის გაფართოებისაკენ, პიონერთა დამოუკიდებლობის განვითარებისაკენ არის მიმართული. ამ საკავშირო შეკრების დღეგატებმა თავიანთი უფლებების დაცვა მოითხოვეს. კომკავშირი, როგორც მათი პოლიტიკური ხელმძღვანელი, ვალდებულია, ადგილზე უზრუნველყოს პიონერთა ამ მოთხოვნის შესრულება. პიონერებს დღეს ენდობიან და ამიტომ მათაც უფლება აქვთ, არჩეულ იყვნენ პიონერთა ორგანიზაციის საბჭოების შემადგენლობაში; მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომლებიც პიონ

ერთა ორგანიზაციას ეხება; მათ სისტემატურად უნდა მოაწყონ დისკუსიები თავიანთი კოლექტივის პიონერული ცხოვრების საგულისხმო საკითხებზე, შეიკრიბონ რაიონულ, საქალაქო, საოლქო თუ რესპუბლიკურ შეკრებებზე. რგოლებში, რაზმებსა და რაზმეულში განამტკიცონ პიონერული თვითმმართველობა, თავად აირჩიონ რაზმის ხელმძღვანელები, ჩაატარონ ექსპერიმენტი და შექმნან სხვადასხვა ასაკის პიონერული რაზმები.

პიონერთა ბანაკიც თავისებური „პიონერული ტერიტორია“ გახლავთ, სადაც დემოკრატიის პირველი გაკვეთილება ტარდება. უპირატესობა უნდა მივცეთ პიონერულ თვითმმართველობას; ბავშვებს კი საშუალება უნდა ექნეთ ამა თუ იმ საქმის მოსამზადებლად შექმნან საბჭოები, ჯგუფები, მოაწყონ აქტივის მონაცვლეობა.

თქვენი საქმე თქვენვე უნდა აკეთოთ — ასეთია ჩვენი პიონერთა ცხოვრების პრინციპი. ეს უნდა იყოს არა მარტო სიტყვა, არამედ საქმე.

პიონერთა ორგანიზაციის დებულებაში ლაპარაკია პიონერთა შეკრების, როგორც პიონერთა თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს, უფლებებზე. ეს უფლებებიც უნდა დავიცვათ.

პიონერთა ბანაკი არა მარტო პიონერული აქტივის სწავლების, არამედ თვით პიონერული ცხოვრების სკოლაა.

ამ ჭაფხულს შედგება XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია. იგი გარდაქმნის პირველი ეტაპის შედეგებს შეაჯამებს და მის შემდგომ კურსს განსაზღვრავს. ეს ბანაკის თითოეულ ბავშვამდე უნდა იქნეს დაყვანილი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პიონერებმა ნათლად დაინახონ კავშირი დემოკრატია და პიონერულ თაოსნობას, მის შე-

მოქმედებით მუშაობასა და თვითმმართველობას შორის.

პიონერთა ორგანიზაცია ემზადება კომკავშირის დაბადების 70-ე წლისთავის შესახებ ვედრად. ეს მოვლენაც ნათლად უნდა აისახოს საბანაკო ცხოვრებაში.

ამ თარიღის აღსანიშნავად პიონერთა ბანაკში საინტერესო მუშაობა გაიშლება; პიონერული აქტივი კომკავშირელების მხარდახმარ უნდა შეეცადოს, კარგად გააცნოს პიონერებს კომკავშირის ისტორია.

1988 წლის ივნის-ივლისში არტვში გაიმართება პიონერთა ორგანიზაციაში მიმდინარე გარდაქმნის აქტივისტთა საკავშირო შეკრება. დღეგატები ერთმანეთს გაუზიარებენ პიონერთა IX საკავშირო შეკრების შემდგომი პირველი წლის შედეგებს. შეკრება საგულისხმო წინადადებებს ელოდება პიონერთა ბანაკებიდანც და ეს წინადადებები არტვში, შეკრების პრესცენტრის მისამართით გაიგზავნება.

ფართოა თქვენი თანატოლების გატაცებათა სფერო: ერთს ტურიზმი იტაცებს, მეორეს — ხელოვნება, მესამეს — სპორტი და ა. შ. თავიანთი მუშაობის შინაარსით ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იყვნენ პიონერთა ბანაკებიც, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი ინტერნაციონალურ მეგობრობას დაეთმობა!

ჭაფხულში ახლებურად უნდა გავიზაროთ შრომითი საქმიანობაც. პიონერთა IX საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებით, ბანაკში მოსული პიონერები აქტიურად მონაწილეობთ მოძრაობაში „პიონერები XII ხუთწლედს“. ამიტომ ყოველივე ისე უნდა გაკეთდეს, რომ თითოეულმა

პიონერმა თვითონ დაგეგმოს თავისი შრომა და შედეგაც თავად მიიღოს. აქ მთავარი ყურადღება მიექცევა თვით-მომსახურებას.

ბანაკში, სულ ერთია, ის ნორჩი ტექნიკოსებისა იქნება, ტურისტების, ბუნების მოყვარულების, ნორჩკორებისა თუ მხატვრებისა, სასურველია, მოქმედებდეს აგიტბრივად, რომელიც მოემსახურება არა მარტო საკუთარ ბანაკს, არამედ სოფლის მშრომელებს და მეზობლად მდებარე ბანაკებსაც.

ბევრი სიახლეა ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა ბანაკების ცხოვრებაში. ტარდება ექსპერიმენტი კოჰორში, ბანაკ „წითელ მიხაკში“, სადაც თბილისის 85-ე სკოლის რაზმეუ-

ლის 200-ზე მეტი პიონერი ერთდროულად დაისვენებს. ასევე, პიონერთა ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნება პროფილური ბანაკები, მაგალითად, ნორჩი პროგრამისტებისათვის; პიონერული აქტივის სწავლების ბანაკი მოეწყობა ცხვარიკამიას პიონერთა ბანაკების ბაზაზე. ნორჩ ბიოლოგთა სკოლა-ბანაკი იმუშავებს გურჯაანის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე, იგი ცნობილი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის სახელობისა იქნება.

საბანაკო ცხოვრება, პიონერთა მთელი საქმიანობა ისე უნდა აეწყოს, რომ თითოეულმა პიონერმა ჯანსაღის შემდეგ თავის რაზმეულში შეძლოს საინტერესო გამოცდილების მიტანა.

ლია სამაღაშვილი: როგორც პატივცემულმა გული-კომ თქვა, ჩვენი ექსპერიმენტი ბანაკ „წითელ მიხაკში“ მოეწყობა. როგორც კი კოჰარის ცენტრიდან მარცხნივ ჩავუხვევთ, მწვანეში ჩაფლულ ერთ-ერთ გორაკზე შემოგვედებათ პიონერთა ბანაკი ნათელი ნაგებობებით, სპორტული მოედნებით, კლუბით, პიონერთა ოთახით, საძინებელი კორპუსებით, სათამაშო მოედნებით... შარშანაც აქ ვმუშაობდი უფროს პიონერხელმძღვანელად, ექსპერიმენტი სწორედ მაშინ დავიწყეთ. ბავშვებმა კარგად დაისვენეს. ერთმანეთს ენაცვლებოდა სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, საჭირანთა და გონებაშახილთა გუნდების შეხვედრები, შრო-

მითი დესანტი, „სოფლის სადამოები“, დისკოთეკები... ჩვენს კონკურსებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ მეზობელი ბანაკის „კოსმოსის“ პიონერებიც. ჩატარდა „საბჭოთა კავშირის დღე“, რომელზეც 15-ვე მოძმე რესპუბლიკის ხალხთა ეროვნული ტანსაცმელი, რაზმის ხელმძღვანელების დახმარებით, თვითონ პიონერებმა შეკერეს. ექსპერიმენტს, ჩემი აზრით, ზოგ მოძველებულ ტრადიციულ უარის თქმაც უნდა მოყვეს. აუცილებლად გვიწევდა მოვაწყოთ დისკუსია პიონერული მუშაობის რამდენიმე საკითხზე, მაგალითად, „რატომ დაისადგურა მოწყენილობამ რაზმეულში?“, „რატომ ჰგვანან რაზმეული თუ რაზმები თავიანთი მუშაობით



მეზღაურება რისხვა

1868 წლის ნოემბერში დიდი ბრიტანეთის დელაქალაქ ლონდონში მიმდინარეობდა უჩვეულო სასამართლო პროცესი: ერთი ამერიკელი გემის კაპიტანმა სადაზღვევო კომპანიას 12 ათასი დოლარის სარჩელი წარუდგინა. ამ თანხას უნდა აენაზღაურებინა ზარალი, რომელიც გემმა მახვილთევზასთან შეტაკებისას განიცადა. გამოქანებულმა თევზმა გახვრიტა გემის სპილენძის კორპუსი, ნახვრეტის დიამეტრი 2,5 სმ იყო. ძლიერმა დარტყმამ გემი შეაზანზარა. თევზმა მოახერხა თავისი მახვილის გამოძრობა და ნახვრეტიდან წყალმა იჩქეფა.

უკველივე ეს იმდენად უჩვეულო იყო, რომ ბევრის მნახველი მეზღაურებიც კი გაოცებულნი დარჩნენ.

ამ დროისათვის უკვე ცნობილი იყო მახვილთევზას მიერ გემების ტარანირების არაერთი შემთხვევა. ასე, მაგალითად, 1725 წელს მახვილთევზამ გახვრიტა ბრიტანეთის სამხედრო გემის 2,5 სმ სიხების ლითონის საფარი და 7,5 სმ სიხის ფიცარი.

გამოჩენილმა საბჭოთა მათემატიკოსმა და გემომშენებელმა, აკადემიკოსმა კრილოვმა გამოიანგარიშა, რომ ასეთი ძლიერი დარტყმისათვის თევზი საათში 90-110 კმ-ის სიჩქარით უნდა მიცურავდეს.

როგორ იტანს თევზის ორგანიზმი ასეთი ძალის დარტყმას?


საქმე ისაა, რომ ამ თევზს, რომელიც სიგრძით 4 მეტრს აღწევს, საოცრად მკვრივი კუნთები აქვს. ამ კუნთებს ნაჯახითაც კი ვერ დაჩეხავ. გარდა ამისა, ხერხემლის მალეზსშორის ხრტილოვანი დისკოები პირველხარისხისაა ამორტიზატორების როლს

ასრულებენ. მაგრამ მთავარი, რაც აწელებს ამ მძლავრი დარტყმის ძალას, თვით მახვილია: მისი შიგთავსი ამოვსებულია ცხიმით, რომელიც შეკუმშვისას „აქრობს“ დარტყმას. ყველაფერი ეს იგივეა, რაც სრულყოფილი „მრავალსაფხურიანი ამორტიზატორი“.

მახვილთევზას სიგარის ფორმა აქვს. ძრავას მოვალეობას კული ასრულებს, ხოლო ამ თევზის გული დაუღალავი მექანიზმია, ცოცხალი ტორპედოს ძრავაა, რომელიც მუშაობის რიტმს არ აწელებს მაშინაც კი, როდესაც თვით თევზი განგმირულია. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მახვილთევზა „ცისფერი კონტინენტის“ ფაუნის ერთ-ერთი უსწრაფესი და ყველაზე გამძლე წარმომადგენელია. მიუხედავად დიდი წონისა, მას შეუძლია წყლიდან ამოხტეს რვა მეტრის სიმაღლეზე.

დადგენილია, რომ უფრო ხშირად მახვილთევზა თავს ესხმის იმათ, ვინც მასზე ნადირობს.

ლილი გაღაშვილი,
იქტიოლოგი.



ერთმანეთს“, „რატომ დავ-
კარგეთ პიონერული რომან-
ტიკა?“, „რატომ არ ვოცნე-
ბობთ?“ წიუელსაც აუცილებ-
ლად გავმართავთ კონკურსს
თემაზე — „პიონერული ცხოვ-
რების ანბანი“, მიუხედავად
იმისა, რომ ბევრი ღონისძიე-
ბა საინტერესოდ ჩატარდა, ბა-
ნაკმა მე, პირადად, უჩვეულოდ
სერიოზული პრობლემების წი-
ნაზე დამაყენა. დავრწმუნდი,
რომ ბანაკი არა მხოლოდ ბავ-
შების ფიზიკური წრთობისა
და გონივრული დასვენების
სამშენებლოა, არამედ ჩვენთვის,
უფროსებისთვისაც — სწავლი-
სა და გამოცდილების შეძე-
ნის თავისებური სკოლა.
შარშან ჩვენი ყურადღება
მიიპყრო ერთმა პრობლემამ:
კერძოდ, იმან, რომ ბანაკში,
უძეტესად, პიონერული ცხოვ-

რების უნარ-ჩვევების არმქო-
ნე ბავშვები მოდიან. ეს კი აძ-
ნელებს საბანაკო მუშაობის ში-
ნაარსიანად და ხარისხიანად
წარმართვას. კარგი იქნებოდა,
რომ სკოლის რაწმეულს ჰქო-
ნოდა საშუალება ბანაკის უფა-
სო საგზურებით დაეჩილდოე-
ბინა თუნდაც 10 აქტივისტი.
ეს გაზრდიდა სკოლის პიო-
ნერთა ორგანიზაციის ავტორი-
ტეტს და ბანაკშიც გამოცდი-
ლი პიონერები მოვიდოდნენ.
ერთ ბანაკში ერთი სკოლის
მთელი პიონერული რაწმეუ-
ლის დასვენება ჩვენს რეს-
პუბლიკაში პირველად ეწყო-
ბა. მიხარია, რომ ეს ჩემი
სკოლის რაწმეულიდან დაიწ-
ყო. ეს შესანიშნავი საშუა-
ლებაა, არ შეწყვიტოთ სას-
წავლო წლის განმავლობაში
წარმოებული პიონერული მუ-

შაობა. საბანაკო ღონისძიებე-
ბი სკოლაშივე მოვიფიქრეთ.
ასე რომ, წლებადელი ზაფხუ-
ლის უამრავი საფიქრალის გა-
დაწყებაში ჩემი პიონერული
აქტივის იმედი მაქვს. უნდა
მოვსინჯოთ ჩვენი ძალა და
შესაძლებლობები. რაწმის
ხელმძღვანელებიც ჩვენი სკო-
ლის კომკავშირელები იქნე-
ბიან, რაწმის ხელმძღვანელე-
ბად იმუშავენ ნანი გუგავა
(რაწმეულის საბჭოს ყოფილი
თავმჯდომარე), ლელა კვანტა-
ლიანი, გია ელიზბარაშვილი
და სხვები. სკოლის რაწმეუ-
ლის საბჭოს თავმჯდომარე ბა-
ნაკშიც განაგრძობს თავის საქ-
მეს. პედაგოგებიც ჩვენივე
სკოლიდან მოდიან, ძირითა-
დად, კომკავშირელი, ახალ-
გაზრდა მასწავლებლები.
ექსპერიმენტი უთუოდ მოგ-



ვეცემს დადებით შედეგს. ეს
ხომ ახლის ძიებაა, ასეთი ძიე-
ბა კი ჩვენს ყოველდღიურ
ცხოვრებაში წინსვლა და სიახ-
ლეა, ურომლისოდაც წარმო-
უდგენელია დღეს პიონერთა
ორგანიზაცია.
წინ ზაფხულის ხალისიანი
დღეებია. ვეცდებით, იგი სა-
ინტერესო გავხადოთ.

ნათელა ფაილკმა

საინჟინერო

სიახლანი

გიგანტი შაქრის პარხანაში

მოლანდიის ერთ-ერთ შაქ-
რის ქარხანაში დადგმულია
მსოფლიოში უდიდესი ინგლი-
სური შაქარსახდელი აპარატი.
ამ ვეებერთელა ავზის მოცუ-
ლობა, რომელშიც ცხელი
ორთქლის მიღების კონა გა-
დის, 180 კუბური მეტრია.
შაქრის ქარხლის გაწმენდილი
წვენი კარგავს წყლის ნაწილს
და გამოიყოფა შაქრის კრის-
ტალები. აპარატის წარმადობა
საათში 125 ტონაა.

ცილის შემცველობა — 1 პრო-
ცენტით. ახალი სასუქი პლან-
ტაციასა და ყანაში შესხურე-
ბის მეთოდით შეიქვთ.


უკეთ, ვიდრე ბატონი

იმ მეტისმეტად ხმაურია-
ნი ავტომობილების გასწ-
ვრივ, რომლებიც დასახლე-
ბული პუნქტების საცხოვრე-
ბელ კვარტალებს ჰკვეთენ,
ხმაურისაგან მოქალაქეთა და-
საცავად, ჩვეულებრივ, ბეტო-
ნის კედლებს აგებენ ხოლმე.
ასეთი კედელი არცთუ ლამა-
ზია და, ამასთანავე, ძვირიც
ჭდება. მამბურგის გარეუბნე-
ბში ბერათმშთანთქავი ეკრა-
ნის მოვალეობას ტირიფის ტო-
ტებისაგან დაწნული ღობე
ასრულებს. იმედოვნებენ, რომ
ზოგიერთი ტოტი ფესვებს
გაიკეთებს და გაზაფხულზე

მთელი ღობე მწვანედ გადახ-
ვერდდება. წნული ღობე ბე-
ტონზე უკეთ შთანთქავს ბგე-
რას, თან ლამაზიცაა და იაფიც.


მზისური რეკორდი

ამ უცნაურმა მანქანამ ახ-
ლანან სიჩქარის რეკორდი და-
ამყარა ტრანსსპორტის იმ სა-
შუალებათა შორის, რომლებიც
მზის ენერგიით მოძრაობენ.



მზის ავტომობილი „სანრისე-
რი“ ამერიკულმა კომპანია
„ქინერალ მოტორსმა“ ააგო.
არიონის უდაბნოს საცდელ
პოლიგონზე მან საათში 58,7
კმ სიჩქარე განავითარა, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ცა ამ
დროს კარგა მზლრუბლული
იყო. „სანრისერმა“ მოხსნა
1972 წლის რეკორდი — საათ-
ში 40 კილომეტრი.


ბუღგარელმა გამომგონებ-
ლებმა რძის ნარჩენებისაგან
შექმნეს ნივთიერება „ლაქტო-
ფოლი“, რომელსაც მცენარის
ფოთლების საკვებად იყენებენ.
„ლაქტოფოლი“, რძის ნარ-
ჩენი პროდუქტების გარდა,
შედის სხვადასხვა მიკროელე-
მენტი და საკვები ნივთიერე-
ბა, რომლებიც ხელს უწყობენ
მოსავლიანობის ზრდას. ხორ-
ბლის მოსავალი, მაგალითად,
8-12 პროცენტით გაიზარდა.



სარეკორდოდ მოკლე ვად-
ში — სულ რაღაც თერთმეტ
თვეში — ჩინეთის ქალაქ ფო-
შანში აიგო და მუშაობა და-
იწყო ელექტროსადგურმა. მი-
ნის სიმძლავრე 88 მეგავატია.
სადგურში დაყენებულია ექვ-
სი დიზელ-გენერატორი, თი-
თოეულის სიმძლავრე რამდე-
ნადმე სპარბობს ექვს მეგა-
ვატს. დაწყებულია კიდევ ორი
ასეთი დიზელ-გენერატორის
მონტაჟი.

რამ მცენარეობაშია

მცენარეობაშია



თქმულეზა ლოენბრინჯა

როდესაც სარეცელზე მიჯაჭვულმა ბრახანდიისა და ლიმბურგის ჰერცოგმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, თავისი ვასალი ფრიდრიხ ფონ თელრამუნდი იხმო და უთხრა: თელრამუნდი, შენ მუდამ ჩემი ერთგული იყავი, ჰირშიც და ლხინშიც შენი იმედი მქონდა, ღვთის გულისათვის, ეს უკანასკნელი სათხოვარიც ამისრულე: როდესაც მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, ჩემს ქალიშვილს, ელზას, გათხოვებამდე შენ უპატრონე, შემომფიცე, რომ მისი ერთგული იქნები და მეც მშვიდად დავტოვებ სამშენოსო.

თელრამუნდმა შეჰფიცა, შენს ასულსა და საჰერცოგოს არაფერს გავუჭირებო, და დამშვიდებულმა ჰერცოგმა სამუდამოდ დახუჭა თვალი.

მაგრამ გლოვის ქამმა ჩაიარა და თელრამუნდს დაავიწყდა თავისი ფიცი, რადგან უსაზღვრო ჰატივმოყვარეობამ შეიპყრო. ელზას ცოლად შერთვა და საჰერცოგოს მმართველობა მოინდომა, დაობლებულ ქალიშვილს გასაქანს არ აძლევდა და უტიფრად სთხოვდა, ცოლად გამომ-

ყვიო. ელზამ მტკიცე უარი განუცხადა და სთხოვა, ამაზე აღარ ეფიქრა. მაგრამ გულისტქმით აღტკინებული რაინდი განზრახვაზე ხელს არ იღებდა. ხოლო როცა ვერც თხოვნამ გაჭრა და ვერც მუქარამ, თელრამუნდმა უკეთურ ხერხს მიმართა — მეფე ჰაინრიხს განუცხადა, ელზა ცოლად გამოყოლას დამპირდა, ახლა კი პირობის შესრულება აღარ სურსო. მეფე ღირსეულ რაინდად თვლიდა თელრამუნდს და ვერც კი წარმოედგინა, თუ ტყუილს იკადრებდა. ამიტომ დაუჯერა და ასე გადაწყვიტა: ტახტის მემკვიდრე ელზა და ფრიდრიხ ფონ თელრამუნდი უნდა დაქორწინებულ იყვნენ, მაგრამ იმ პირობით, თუ თელრამუნდი ორთაბრძოლაში დაამტკიცებდა, რომ მას საჰერცოგოში რაინდთა შორის ბადალი არ ჰყავდა. ამით არც ელზას ღირსებას მიაღებოდა ჩრდილი.

ამ გადაწყვეტილებამ ძალიან დაალონა ელზა, მის კარზე მყოფ რაინდთა შორის ქალიშვილს ერთიც არ ეგულებოდა ისეთი, ვინც მის დაცვას შეძლებდა. მართლაც, თელრამუნდის წინაშე ყველა შედრკა, მარ-

ტოდ დარჩენილი ელზა სასოწარკვეთილებას მიეცა, თვალზე შეჭრემული ლი არ აშრებოდა.

ერთხელაც, საღამოხანს, საკურთხევლის წინ დაჩოქილ, დამწუხრებულ ჰერცოგის ასულს ისეთი ხმა აღმოხდა, როგორსაც სასიკვდილოდ დაკოდილი შევარდენი გაიღებს ხოლმე. ელზას სევდიანი ხმა ღრუბლებმა აიტაცეს და მონსალვათის ციხე-კოშკში გრგვინვად მიიტანეს. ამ ხმის გაგონებაზე წმინდა გრაალის რაინდები მიხვდნენ, რომ ვილაცას ძალიან უჭირდა და მყისვე ტაძრისაკენ გაეშურნენ. იქ წმინდა გრაალის თასზე მათ ამოიკითხეს ბრახანდიის ჰერცოგის ასულის თავს დატეხილი უბედურების ამბავი. რაინდები მზად იყვნენ, დაუყოვნებლივ აეღოთ ხელში მახვილი უმწეო ქალიშვილის დასაცავად, მაგრამ წმინდა გრაალზე კიდევ ერთი წარწერა გამოჩნდა: „ლოენგრინი, ძე პარციფალისა“.

ლოენგრინი დაეთხოვა მეფე არტურს, გამოემშვიდობა დედ-მამას და ის იყო, ცხენზე უნდა ამხედრებულიყო, რომ უცბად თოვლივით თეთრი გედი დაინახა. გედი პატარა, კოხტა ნავს მოაცურებდა. წმინდა გრაალის რაინდისათვის გედის გამოჩენა ციური ნიშანი იყო. ლოენგრინმა ცხენს თავი ანება, ნაპირისაკენ გაეშურა და ნავში ჩაჯდა. რაინდებმა საგზალი შესთავაზეს, მაგრამ მან არ ინდომა: ვისაც მე მივყავარ, შიმშილით არ მომკლავსო. სულ მალე თოვლივით თეთრი გედი გაშლილ ზღვაში მიაცურებდა ნავს. ხუთი დღე-ღამე ისე გავიდა, რომ ლოენგრინს პირში ხემსიც არ ჩასვლია. მეექვსე დღეს მან შენიშნა, როგორ ჩაყო გედმა თავი წყალში, თევზი დაიჭირა და გადაყლაპა. მაშინ რაინდმა უთხრა გედს: მეც ხომ არ მიწილადებდიო? გედმა კვლავ ჩაკრა თავი წყალში, ამოიღო სეფისკვერი და ლოენგრინს მიაწოდა. რაინდმა სეფისკვერი შეჭამა და უმაღლესი ძილმა წაართვა თავი.

ბრახანდიაში კი სასოწარმეული ჰერცოგის ასული შიშით ფიქრობდა, რომ სულ მალე ამოიწურებოდა მეფის მიერ თელრამუნდისთვის და-

თქმული დრო, ის რაინდი კი, რომელიც მასთან შებმას გაბედავდა, არა და არ ჩანდა. ელზამ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი — თავისი ქვეშევრდომნი მოიხმო და გასაჭირი შესჩივლა. თავდახრილი რაინდები და ვასალები ხმას არ იღებდნენ, ვერავის გადაეწყვიტა ჰერცოგის ასულის გამოსარჩლება. ყველამ კარგად იცოდა თელრამუნდის ძლევა-ამოსილებისა და იღბლიანობის ამბავი და ამიტომ ვერავინ ბედავდა მასთან შებმასა და კადნიერი ვასალის უტიფრობის ალაგმვას. თავჩაქინდრული რაინდების შემყურე ელზას უკანასკნელი იმედიც წაერთვა. მხოლოდ სასახლის კარის ხუცესი იყო იმედიანად, ამშვიდებდა ჰერცოგის ასულს — ღმერთი არ გაგვწირავსო, და, მართლაც, სწორედ იმ უკანასკნელ წამს, როდესაც დანიშნული დრო ის-ის იყო უნდა ამოწურულიყო, მდინარეზე მოულოდნელად გამოჩნდა თეთრი გედი, რომელსაც კოხტა ნავით მძინარე რაინდი მოჰყავდა.

— შეხედეთ, ჰერცოგის ასულო, ღმერთმა გადმოგვხედა და მხსნელიც მოგვივლინა! — აღმოხდა ხუცესს.

ხალხი მდინარის ნაპირს მიაწყდა, აღტაცებულნი გაჰყვიროდნენ: „სასწაული მოხდა, სასწაული!“

ყრამულზე ლოენგრინს გამოეღვიძა, გადმოვიდა ნავიდან და ელზას წინაშე მუხლი მოიყარა. გედი კი თავისი ნავიანად ისე სწრაფად გაქრა, რომ ვერავინ მოასწრო მისი ხეირიანად დანახვა.

ლოენგრინის გამოჩენამ ყველა დიდად გაახარა. წმინდა გრაალის რაინდმა დაწვრილებით შეიტყო უსამართლობის ამბავი და გულშეძრულმა ჰერცოგის ასულს დახმარება აღუთქვა. გახარებულ ხალხს სამართლიანობის აღდგენის იმედი მიეცა, სულ მალე ელზამ და ლოენგრინმა ერთმანეთისადმი უნაზესი სიყვარული იგრძნეს, ბედნიერებით ანთებულნი თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ორთაბრძოლა ლოენგრინსა და ფრიდრიხ ფონ თელრამუნდს შორის გაიმართა ქალაქ მაინცში იმპერა-

ტორ ჰაინრიხისა და უამრავი ხალხის თანდასწრებით. მოწინააღმდეგენი წინასწარ შეთანხმდნენ, ცხენზე ამხედრებულებს შუბებით ებრძოლათ. პირველი იერიშის დროს თელრამუნდი და ლოენგრინი ისეთი ძალით შეასკდნენ ერთმანეთს, რომ ცხენები მიწაზე განერთხნენ. მეორე შეტაკებისას ულაყები ყალყზე შედგნენ, მაგრამ რაინდებმა მაინც მოახერხეს უნაგირზე დაკავება. მესამე შეტაკებისას მოპაექრეთ შუბები დაემსხვრათ და ახლა მახვილები იშიშვლეს. ხალხი სულგანაბული ადევნებდა თვალს დაძაბულ ორთაბრძოლას. რაინდთა მახვილები ნაპერწკლებს ყრიდნენ, გეგონებოდათ, ვიდრე რომელიმე მათგანი უპირატესობას მოიპოვებს, მათ საჭურველს ცეცხლი წაეკიდებოდა. თავგანწირვით იბრძოდნენ. უკან არც ერთი არ იხევდა, მაგრამ ვერც ერთმანეთის დაჯაბნას ახერხებდნენ. ბოლოს ლოენგრინის უძლიერესი დარტყმის შედეგად თელრამუნდს მუხარადი თვალებზე ჩამოეფხატა. ლოენგრინმა ბრძოლა შეწყვიტა: ჩემი ღირსება უფლებას არ მაძლევს, ამ ყოფაში მოგაკვდინო.

ბრძოლა თავიდან დაიწყო. ამკვრად იგი დიდხანს აღარ გაგრძელებულა, რადგან ლოენგრინმა ისე შეავიწროვა თელრამუნდი, რომ იგი იძულებული გახდა თავი დამარცხე-

ბულად ეცნო. ბრძოლის დამთავრების შემდეგ რაინდებმა მუხარადებზე მოიხადეს. ფრიდრიხ ფონ თელრამუნდმა ელზას წინაშე მუხლი მოიდრიკა და თავი დამნაშავედ სცნო.

ამ ამბავმა იმდენად განარისხა მეფე ჰაინრიხი, რომ თელრამუნდს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დიდებულებმა სთხოვეს, შეეწყალებინა რაინდი, რადგან თელრამუნდის ღირსება ისედაც შელახული იყო.

ელზა ლოენგრინის მეუღლე გახდა. მაგრამ ვიდრე ჯვრის დასაწერად გამზადებულნი საკუროთხეველს მიუახლოვდებოდნენ, ლოენგრინმა პირობა ჩამოართვა — არასოდეს ეკითხა მისი ჩამომავლობის შესახებ. ვიდრე ჰერცოგის ასული ამ პირობას დაიცავდა, ლოენგრინი მასთან დარჩებოდა, მაგრამ როგორც კი ელზა მეუღლეს ამ კითხვას დაუსვამდა, წმინდა გრაალის რაინდი იძულებული გახდებოდა სამუდამოდ მიეტოვებინა იგი. ელზამ ღიმილით აღუთქვა ლოენგრინს პირობის შესრულება.

ლოენგრინი კარგი მმართველი გამოდგა, ბრძნულად და მხნედ განაგებდა საჰერცოგოს. ერთგულად ედგა მხარში მეფე ჰაინრიხს ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ელზა და ლოენგრინი სამეფო კარის ხშირი სტუმრები იყვნენ.



გამოხდა ხანი, მათ ორი ვაჟიშვილი შეეძინათ. ბედნიერ ოჯახს არაფერი აშფოთებდა. ელზას არც უფიქრია, პირობა დაერღვია და ლოენგრინისათვის ის აკრძალული კიბევა დაესვა.

მაგრამ ერთხელ, როდესაც მეფე თავის ასულს ლოტარინგიის ჰერცოგზე ათხოვებდა, ქორწილში ელზა და ლოენგრინიც მიიწვიეს. გაიმართა დიდი ასპარეზობა. ლოენგრინმა ოთხ მოასპარეზეს სძლია. მეფემ მას გამარჯვება მიულოცა, დედოფალმა ხოტბა შეასხა რაინდთა და სეფექალთა წინაშე და ჰუნებთან ომში ლოენგრინის საგმირო საქმენიც გაიხსენა. დედოფლის ენამზიანობით გულდამტკბარი ელზა უსაზღვროდ ბედნიერი და გახარებული იყო.

ამ ამბავმა შური აღუძრა სეფექალ ფონ კლევეს, რომლის მეუღლეს ლოენგრინმა ასპარეზობის დროს დაამარცხა. ქალბატონი ფონ კლევე მიუახლოვდა ელზას და ღვარძლიანად უთხრა: ლოენგრინი ნამდვილად დიდი გმირი და საქრისტიანოს მშვენებაა, მაგრამ სამწუხაროა, რომ არავინ ვიცით მისი სადაურობა. ალბათ დაბალი გვარისაა და ამიტომაც მალავს თავის წარმომავლობასო.

ეს სიტყვები ლახვარივით მოხვდა ელზას ცულს. დედოფალმა შეატყუა და შეეცადა მისთვის წყენა გაექარებინა, ხოლო სეფექალ ფონ

კლევეს აუკრძალა ასეთი ლაპარაკი, მაგრამ უკვე გვიან იყო, ეჭვი ხმამალა გამოითქვა და უმალ ყველას მოედო. ელზა აფორიაქდა, ლოენგრინმა მეუღლეს უგუნებობა შეამჩინა და მიზეზი ჰკითხა: ელზამ დაუმალა. უთხრა, არაფერი მაწუხებსო. მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ დაიოკა და მეუღლეს საბედისწერო კითხვა დაუსვა. ლოენგრინი შეკრთა, მაგრამ ელზა დააწყენარა და შეჰპირდა, როგორც კი შინ დავბრუნდებით, ყველაფერს აგიხსნიო. შემდეგ მან მეფე და სასახლის კარზე მყოფი დიდებულები და რაინდები თავის საჰერცოგოში, ანტვერპენში მიიპატიჟა. მეფე ჰაინრიხი დათანხმდა მის მიწვევას.

ანტვერპენში ლოენგრინმა სტუმრებს თავისი სათქმელი აუწყა:

— მეფევ ბატონო, დიდებულებო და რაინდებო, დადგა უამი ჩვენი განშორებისა. პირობის თანახმად, ელზას არ უნდა ეკითხა ჩემი სადაურობის ამბავი, და რაკილა მკითხა, ვუბასუხებ: მამაჩემი პარციფალა, წმინდა გრაალის რაინდი. მეც სწორედ წმინდა გრაალმა გამომავაზვნა, რათა მეხსნა განსაცდელში ჩავარდნილი ჰერცოგის ასული. ახლა კი, რა გაეწყობა, უნდა დაგტოვოთ. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: მფარველობა გაუწიეთ ჩემს მეუღლეს და ჩემს ორ ვაჟს. მე კი იძულებული ვარ გაგშორდეთ.

ლოენგრინმა მოაყვანინა ორივე შვილი, გადაკოცნა და თავისი მამვილი და საბრძოლო ბუცი გადასცემს. უკანასკნელად გადაეხვია დარდისგან გაოგნებულ ელზას და სახსოვრად დედისეული ბეჭედი დაუტოვა.

და აი, ისევ გამოჩნდა მდინარეზე თოვლივით თეთრი გედი, რომელიც ნავს მოუძიოდა წინ. სწორედ ამ ნავმა ჩამოიყვანა ლოენგრინი ბრახანდიაში. სასოწარკვეთილ ელზას ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, სასომიხდელი მეუღლეს მოეხვია, მაგრამ მისი გოდება უძლური იყო ბედისწერის წინაშე.

ლოენგრინი ნავში ჩაჯდა, უკანასკნელად დაემშვიდობა ნაპირზე მყოფ ხალხს და გედმა ნავი გაშლილ ზღვაში გაიყვანა.

გულწასული ელზა უღონოდ ჩაიქცა.

მეფე ჰაინრიხმა თავად ისურვა ლოენგრინის ვაჟების აღზრდა. ყმაწვილები სახელოვანი რაინდები დადგნენ და მამის სახელს კიდევ უფრო მეტი ღირსება შემატეს.

გაუქარებელი ნალველით შეპყრობილი ელზა კი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი მეუღლის ერთგული დარჩა.

გერმანულიდან თარგმნა
მანონ ბაგისპირიან.
მხატვარი
ირა რაზმაძე

ი ს ი ქოუ ბიბი...

● სკანდინავიის ქვეყნები და დანია ამჟამად ყავის ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან. ყოველი ფინელი, მაგალითად, წელიწადში 14,5 კილოგრამ ყავას ყიდულობს. ყველაზე უფრო ნაკლებ ამ სახემელს ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში ეტანებიან — ერთ სულზე აქ 1-1,5 კგ მოდის.

● მსოფლიოს 50 ზოოპარკს აქვს ცოცხალი პეპლები ვოლიერი, რომლებსაც ყოველწლიურად 4 მილიონი კაცი ათვალიერებს.

● 1986 წელს მსოფლიოში გამოუშვეს 88,8 მლნ მსუბუქი ავტომობილი (900 ათასით მეტი, ვიდრე წინა წელს). პირველ ადგილზეა იაპონია (მსოფლიო პროდუქციის 25%), მეორეზე — აშშ (23,8).

● პროგნოზების თანახმად, 1995 წელს ქალაქის გამოშვება მსოფლიოში გაიზრდება 40%-ით, ანუ 187 მილიონი ტონიდან 255 მილიონ ტონამდე.

● ჩაის სმაში მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს კუვეიტს (ერთ სულზე — 4,8 კგ ხმელი ჩაი წელიწადში). მეორე ადგილზეა დიდი ბრიტანეთი (3,06 კგ), მესამეზე — ისლანდია (2,85 კგ). შედარებით

ნაკლებად სვამენ ჩაის ბელგიაში, გდრ-სა და სსკ-ში — დაახლოებით 200 გრამს ერთ სულზე. სიის ბოლოშია იტალია — აქ კაცზე წელიწადში მხოლოდ 57 გრამი ჩაი მოდის.

● ატლანტის ოკეანის ფსკერზე, კანადის კუნძულ ნიუ-სკოტლანდიდან 200 კილომეტრის დაშორებით, აღმოაჩინეს უზარმაზარი კრატერი, რომელიც წარმოქმნიდა 50 მლნ წლის წინათ 8 კმ დიამეტრის მქონე მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად.

● ინგლისურ ფირმა „იკორნის“ ახალი მიკროკომპიუტერი წამში 4 მილიონ ოპერაციას ასრულებს, ხოლო კომპიუტერი „არქიმედის“ მიკროპროცესორი — წამში 15 მილიონს.



სახერგ, გორისის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე ელენე ბედიანიძეს

ჩემო პატარა მეგობარო! ყურნალ „პიონერის“ რედაქციამ მიიღო შენი ბარათი, რომელშიც გვწერ, რომ „პიონერის“ მე-2 ნომერში წაიკითხე ჩემი წერილი ავთანდილ სააკაძეზე და გაინტერესებს, რა ბედი ეწიათ გიორგი სააკაძის მეუღლესა და სამ შვილს, რომელ რაიონში მდებარეობს ერთაწმინდის ტაძარი. იქნებ ბევრ შენს თანატოლსაც უფიქრია ამაზე; ამიტომ ყურნალის ფურცლებიდანვე გიპასუხებ.

გიორგი სააკაძის მეუღლეს ერქვა მარეხი, თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი რუსულდანადაც იხსენიებს. ჰყავდათ ხუთი ვაჟიშვილი: ავთანდილი, პაატა, ზურაბი, ივანე და იორამი.

გიორგი სააკაძე 44 წლისა დაიღუპა, დარჩნენ მეუღლე და სამი არასრულწლოვანი ვაჟიშვილი. ისინი დედასთან ერთად ცხოვრობდნენ თავიანთ მშობლიურ სოფელ ნოსტეში (კასპის რაიონი). ძმები დაიზარდნენ, დაოჯახდნენ და, რა თქმა უნდა, მამასავით და უფროსი ძმებავით ერთგულნი იყვნენ სამშობლოსი, მუდამ მზად იყვნენ, მამულის გასაჭირის დროს თავდადებულად ებრძოლათ მტრების წინააღმდეგ. მარეხი სიკვდილამდე შვილებთან იყო, გარდაიცვალა მოხუცებულობაში.

ერთაწმინდის მონასტერი მდებარეობს კასპის რაიონში. ამ ტაძარშია პაატა სააკაძის თავი დამარხული.

პასხანგ სიღამონიძე



საუკუნის ხანძარი

ხანძარი, რომელიც 1988 წელს ინდონეზიაში გაჩნდა, მეოცე საუკუნის უდიდეს სტიქიურ უბედურებადაა მიჩნეული. მ მილიონ პექტარ მიწაზე გამძვინვარებულმა ხანძარმა ოთხი თვის განმავლობაში გაანადგურა ტროპიკული ტყე და ყოველგვარი ცოცხალი არსება. ექსპერტების დასკვნით, დაიღუპა ცხოველებისა და მცენარეების რამდენიმე სახეობა. ხანძრის შედეგად წარმოქმნილმა ღრუბლებმა უხვი წვიმები გამოიწვია, დაიტბორა მრავალი სოფელი და ნათესი.

სხივი ნახებარ ველიწაღში ერთხელ

ყოველწლიურად 20 ოქტომბერსა და 20 თებერვალს აბუსიმიბელის (ეგვიპტე) სატაძრო კომპლექსში მეცნიერები, სტუდენტები და, საერთოდ, სიძველეების მოყვარულნი იკრიბებიან, ისინი ელიან, როდის გაანათებს მზის სხივი წასერის ტბის ნაპირას აღმართულ რამზეს მეორის ტაძარში მოთავსებულ ქანდაკებებს. პირველად ნათდება ფარაონის ფიგურა, შემდეგ კი სხივი სხვა ფიგურებზეც გადადის. თანდათან იგი საკურთხეველზეც აღწევს, სადაც ძველად ღმერთ რას წმინდა წავი იდგა. და ასე მეორდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

საოცარია იმ ძველ მშენებელთა ოსტატობა, რომლებმაც მილიმეტრის სიზუსტით გამოიანგარიშეს კედლების სისქე, გასასვლელების რთული სისტემის დაქანების კუთხე, რომლებიც საშუალებას აძლევენ მზის სხივს, ტაძრის სიღრმეში შეაღწიოს.

სპილოები და ბიურკოკრატიები

ტაილანდში მხოლოდ მეფეს აქვს უფლება, იყოლიოს სპილოები—აღბინოსები. რელიგიური რწმენით, თეთრი სპილოები წარმატების სიმბოლოა და რაც უფრო მეტი ჰყავს მეფეს ისინი, მით უფრო ბედნიერი იქნებიან თვითონაც და მისი ხელქვეითებიც.

ამუამად მეფეს შვიდი ასეთი სპილო ჰყავს. ისინი მეფის სასახლის მახლობლად ცხოვრობენ, მაგრა მოსახლეობა მათ მხოლოდ მეფის საჭირო გამოცვლების დროს ხედავს. შექმნილია სპეციალური კანცელარია, რომელიც მათი შენახვის თანხას განსაზღვრავს, ადგენს ცხოველების მუშაობის რეჟიმს და იმას, რომელი მათგანი წარუძღვება წინ საჭირო მსვლელობას.






● სამწავრო სასაბუნე ძალზე მოსახერხებელია იმისათვის, რომ მისგან გასახეხი ინსტრუმენტი დაამზადო. გამოყენებული ზუმბარის ქაღალდის გამოცვლა რამდენიმე წამის საქმეა.

● ზაფხულობით, როცა ოჯახის ყველა წევრი არღადეგებზე ან შვებულებაში მიემგზავრება, ღებვა ოთახის ყვავილების წყლით უზრუნველყოფის პრობლემაა. აი, ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ხერხი, რომელიც შეგიძლია შენც გამოიყენო: პოლიეთილენის პაკეტი წყლით გაავსე, თავი მაგრად მოუკარი, ძირში პატარა ნახვრეტი გაუკეთე და იმ ნახვრეტით ჩადგი ქოთანში. წყალი ნახვრეტიდან ნელ-ნელა გამოედინება და მშვენივრად დაატენიანებს ნიადაგს.

● ციკლოპებს, მინიატურულ წყლის ცხოველებს, ალბათ შენც იყენებ აკვარიუმის თევზების გამოსაკვებად. თუ აკვარიუმში რამდენიმე დღით მარტო უნდა დატოვო, მისი ერთი ნაწილი ნახვრეტებიანი (2-3 მმ დიამეტრის) ორგანული მინით გადაკეტე. ჰოდა, თევზების კვებაზე ნულარ იღარღებ — ციკლოპები თანდათან გაძვრებიან ტიხარის მეორე მხარეს.

● ჭალის რეცხვისას, რაც უნდა ბევრი ეცადო, საკიდარები მაინც ჩამოგიცვივა. თუ ჭალი ბროლისაა, მით უფრო მეტი სიფრთხილე გმართებს. საკიდარები დამსხვრევას რომ გადაარჩინო, პაწია ეშმაკობის გამოყენება დაგვირღებ: ჭალს ქვეშ წყლით სავსე პლასტმასის ტაშტი დაუდგი.

● თუ ცანგთან ფანჯარს გრიფელის ნაცვლად წამახულ ფოლადის შავთულს გაუკეთებ, მშვენიერი საჭრისი გამოგება — ნაირგვარი აფსკის დასამუშავებლად.



მ. კარგარეთელი — ხვალ — კიდევ უკეთესად (ნარკვევი)	2
სიმეა — 30 წელი (წერილი)	4
რ. ინანიშვილი — გახარებული მზე (მოთხრობა)	7
ასე იწყებოდა კომკავშირი (წერილი)	9
კ. კობერიძე — გალავანი (მოთხრობა)	15
ნ. ხარაზიშვილი — კომპიუტერი დაგვამეგობრებს (ნარკვევი)	18
მ. ჩხეტიანი — ლექსები	19
მ. ცირლიაძე — ჩიტების მარში (მუსიკალური ნოტი)	20
აი სი	24
გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან	25
კოცონი	26
ლ. გელაშვილი — მეზღვაურთა რისხვა (წერილი)	27
საინტერესო სიასლენი	28
თქმულბა ლენინგრინზე (ზღაპარი)	30
იცი თუ არა, რომ	31
ვ. სიღამონიძე — გვეკითხებიან-ვუპასუხებთ (წერილი)	31
ჩადოსნური სარკე	32
გამოგადგები	33
ცხრაკლიტული	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა
ზაურ დინსაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია ზედირა

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდუაშვილი, ნუზარ აბხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭორია, იოსებ სამსრნაძე, ბიროზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგირიანი, ლინან შვირიტული, ზურაბ ზუმბაურიძე.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ. მდივნის — 98-97-08, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-02, 98-97-01. გადაეცა სასწრაფოდ 26. 04. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 06. 88 წ. ქაღალდის ფორმატი 60x90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 1122, ტირაჟი 155600 ეგზ., უფ. 09885.

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60x90¹/₈, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9. Тираж 1556000 экз. Цена 20 коп.




პეხე

მოთამაშეები ორ გუნდად იყოფიან. ამასთან, ერთ გუნდში ბუთი მოთამაშით მეტი უნდა იყოს. მოთამაშეები ორ წრეს შეკრავენ, ერთი წრე მეორის შიგნით უნდა იყოს. წამყვანის ნიშანზე ყველანი ხელებს ჩაკიდებენ ერთმანეთს და იწყებენ მოძრაობას, შიგა წრე — ერთი მიმართულებით,

გარეთა წრე — საწინააღმდეგო მიმართულებით.

„სდქ!“ — გაისმის წამყვანის განკარგულება. ყველანი ჩერდებიან. შიგა წრეში მდგომნი ჩაკიდებულ ხელებს მალა სწევენ და „კიშკრებს“ აკეთებენ. გარეთა წრის მოთამაშეები ამ კიშკრებში შერბიან და გამორბიან. ისევ წამყვანის განკარგულება და — ხელები დაშვებულია. მახეში მოხვედრილები შიგა წრის მოთამაშეებს ემატებიან და თამაში გრძელდება. ბოლოს გარე წრის მოთამაშეების რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლები რჩება, ვიდრე შიგა წრისა და გუნდები ადგილებს იცვლიან. შიგა წრე გარეთ ინაცვლებს და გარე — შიგნით. და

ისევ დატრიალდება „მახის“ ორი წრე.



შუქნიშანი

თამაშობს ორი გუნდი. წამყვანს უჭირავს მუყაოს ორი წრე (ცხაღია, წინასწარ დამზადებული), რომელთა ცალი მხარე ქვეითელია, მეორე კი ერთისა — მწვანე, მეორისა — წითელი.



წამყვანი აჩვენებს მწვანე ნიშანს — ყველანი იწყებენ ადგილზე სიარულს. აჩვენებს ყვითელ ნიშანს — ყველანი ჩერდებიან და ტაშს შემოკრავენ. წითელ ნიშანზე — უმოძრაოდ დგანან. ვისაც შეეშლება, თამაშიდან გადის.

სასიგნალო ნიშნები არათანაბარი ინტერვალებით, მოულოდნელად უნდა იცვლებოდეს. იგებს ის გუნდი, რომელსაც მეტი მოთამაშე დარჩება.

ბ. დმიტრიძე
(უფროსი „მეგობარი“ შკოლა“).



ბავშვთა ათი განსხვავება



გამოცანები

არც გუთანი, არც ტრაქტორი — ერთი რამე სულიერი გამოდგებით მიწას თხრის და არ ეცვლება სულ იერი.

ახლოს მოვა — ვემალებით დაგვშორდება — ვნატრობთ, უფრო მაშინ გვენატრება, როცა მარტი მარტობს.

ალ. ნამორაძე

როცა ზამთრის მოძალებს იგრძნობს არემარე, ყველა ჩვენგანს დასჭირდება თითო თამაშო მარე... ცაო, ვეღარ შეგვაშინებ, თოვლი ჩამოყარე!

ცხოვრებას ვაგიჩიარდნებ, ხელი ჩამკიდე, გაგყვები, ვერც ვინმე ძალით წამიყვანს, არც სადმე დაგეპარგები, ხმალიცა ვარ და ბარცა, ყოველგან გამოგადგები

წვერწამაბული შუბია, ბოლოში თოკი უბია. კიდევ ორ რამეს გიტყვი და ჭამოსაცნობად კმარა: წინ გარბის, მისდევს თოკი და შუბის ნაკვალევს ფარავს.

ბ. მარტვილაშვილი

პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ხსრაკლიგულა“

კაროსკორაძი

თარაზულად: 8. ავტობუსი, 4. პრაქტიკა. 8. ნექტარი; 9. მცენარე; 18. მხედარი; 15. მატროსი; 16. სარდაფი; 17. მორავია; 21. არტერია; 22. ბეთანია; 28. სიმინდი; 26. კრაველი; 27. პარმონია; 28. ქარავანი.

შვეულად: 1. ტურბინა; 2. გაბელია; 5. ტრაპეცია; 6. ფეხბურთი; 7. მეტეორი; 10. რეფრენი; 11. შამფური; 12. ისტორია; 14. ხარვეზი; 18. ატესტატი; 19. შედეგრი; 20. მედიცინა; 24. უკრაინა; 25. ნიაგარა.

მოკვანეთ უმცირესი რიცხვი

მოსამებნ ჩიცხვს მიუმატე 1. მიდებული რიცხვი უნდა იყოფოდეს 2-ზე, 8-ზე, 4-ზე, 5-ზე და 6-ზე. ასეთი რიცხვია 60. ასე რომ, მოსამებნი რიცხვი უოფილა 60—1=59.

გამოცანები

ქათმის კუჭი, ხელთათმანი, ბეჭედი თითზე


შარადები

კუ, ნელი, კუნელი, ქატო, ბორცვი, ქაცვი.

ანაბრება

თათი, თითა

თავსატენი





სპ 35/6

